

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

თეიმურაზ ჯოჯუა

ქართული მხედრობა
მეფე თამარის ეპოქაში

მეომრის ბიბლიოთეკა №25

თბილისი
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ ოცდამეხუთე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX სს-ის გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია: ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე**

ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი **თამაზ ბერაძე**

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ლეილა ხურცია**
ყდის დიზაინი: **გიორგი კიკნაძე**

რედაქტორი: **ნარგიზ ხარაბაძე**
ტექნიკური რედაქტორი: **მარი ჭონიშვილი**

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83

1179 წელს საქართველოს მეფემ, თავისი დროის ერთ-ერთმა უდიდესმა სარდალმა, გიორგი III-მ ნაჭარმაგვეის სასახლეში* სამეფო ტახტზე აიყვანა და თანამოსაყდრედ აკურთხა ერთადერთი კანონიერი ასული – თამარი. ეს იყო პირველი შემთხვევა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში, როცა უმაღლესი მონარქიული ტიტული ქალს ხვდა წილად.

თამარის გამეფებას ქართული სამხედრო არისტოკრატია დიდი სიხარულით შეხვდა. გამოცდილმა და მრავალმამოვლილმა მხედრებმა წესისამებრ თავყვანი სცეს სამეფო ტახტზე დაბრძანებულ თამარს.

აქედან მოყოლებული, ხუთი წლის განმავლობაში გიორგი III და თამარი ერთად მართავდნენ საქართველოს სამეფოს, რომელიც იმ დროისათვის მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ამ დროისათვის საქართველოს საზღვრები ნიკოფსიიდან* თეთრწყლამდე* და კავკასიონის ქედიდან სევანის ტბამდე, უზარმაზარ სივრცეზე იყო გადაჭიმული. გიორგი III-ისა და მისი სახელოვანი წინაპრების – დავით IV აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის უდიდესი ძალისხმევით შექმნილი ვრცელი კავკასიური სახელმწიფო მოიცავდა როგორც მთელი ისტორიული საქართველოს ტერიტორიას, ისე – ძველი სომხეთისა და ძველი ალბანეთის* მნიშვნელოვან ნაწილს.

1170-იან წლებში საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა შემდეგი ისტორიული პროვინციები: აფხაზეთი*, ცხუმი*, ოდიში, სვანეთი, რაჭა, თაკვერი (ლეჩხუმი), სამოქალაქო (ქვემო იმერეთი), არგვეთი (ზემო იმერეთი), გურია, აჭარა, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, სამცხე, ერუშეთი, არტაანი, კოლა, პალაკაციო*, ჯავახეთი, თორი (ბორჯომის ხეობა), თრიალეთი, ქართლი, დვალეთი, ცხრაზმა (ქსნის ხეობის ზემო წელი), ხევი, ხადა, ცხავატი, ჭართალი, ფხოვი (ფშავ-ხევსურეთი), ერწო-თიანეთი, თუშეთი, დიღეთი, კახეთი, ჰერეთი, კამბეჩოვანი (ქიზიყი), შაქი*, ყაბალა*, ქვემო ქართლი, გაგი*, ლორე*, კაენი*, კაიწონი* და სხვა.

გიორგი III 1184 წელს გარდაიცვალა და სამეფო ხელისუფლება მთლიანად თამარის ხელში გადავიდა.

დასავლეთ საქართველოს სამი დიდი ფეოდალური გვარის: ვარდანისძეების, საღირისძეებისა და ამანელისძეების წარმომადგენლებმა, თამარს ძველი ტრადიციის შესაბამისად, ერთ-ერთი უმთავრესი სამეფო ინსიგნია (ნიშანი) – ხმალი მიართვეს, თუმცა, ვინაიდან მეფე ქალი იყო, მახვილი წელზე კი არ შემოარტყეს, არამედ – წინ დაუბრძანეს მას.

თამარის გამეფების ჟამს, ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები გიორგი III-ის ძველ და ერთგულ თანამებრძოლებს ეჭირათ. მათ შორის იყვნენ ყუბასარი, რომელიც ამირსპასალარობასა* და მანდატურთუხუცესობას* ფლობდა და აფრიდონი, რომელსაც მსახურთუხუცესობა* ეპყრა.

არც ყუბასარი და არც აფრიდონი ქართულ არისტოკრატიულ წრეებს არ მიეკუთვნებოდნენ. პირიქით, ყუბასარი გაქართველებული ყივჩაყი იყო, ხოლო აფრიდონი – დაბალი სოციალური ფენიდან გამოსული პირი. მათი

დაწინაურების მიზეზი არა გვარიშვილობა, არამედ პირადი თვისებები და გიორგი III-ის ერთგულება გახლდათ.

1185 წელს, ანუ პრაქტიკულად, თამარის გამეფებისთანავე, ქართველმა დიდგვაროვნებმა, რომელებიც მანამდე გიორგი III-ის შიშით ეგუებოდნენ შექმნილ მდგომარეობას, პოზიციების განმტკიცება სცადეს.

დიდებულებმა მეფეს ყუბასარისა და აფრიდონის გადაყენება მოსთხოვეს, მათ ნაცვლად კი არისტოკრატიული წრიდან გამოსული მოხელეების დაწინაურება შესთავაზეს.

ახლად აღსაყდრებულმა თამარმა დიდებულებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მათი მოთხოვნები დააკმაყოფილა.

ყუბასარს, რომელსაც იმ დროისათვის, დამბლის დაცემის გამო ენა და ხელ-ფეხი ჰქონდა წართმეული, ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა ჩამოართვეს. თანამდებობასთან ერთად, ყუბასარს ჩამოართვეს ციხე-ქალაქი ლორეც, რომელიც, ტრადიციულად, საქართველოს ამირსპასალარების რეზიდენციას წარმოადგენდა.

ამავე დროს, თამარმა დიდგვაროვანთა მოთხოვნების მიუხედავად, ბოლომდე არ გასწირა მამის ერთგული მოხელე, მხოლოდ თანამდებობისა და ლორეს ჩამორთმევით შემოფარგლა, დანარჩენი ქონება და ყმა-მამული ხელუხლებლად დაუტოვა ყუბასარს და გარდაცვალებამდე უდიდესი პატივით ეპყრობოდა მას.

გაცილებით უფრო მძიმე ხვედრი ერგო აფრიდონს, რომელმაც ქართული მხედრობის კატეგორიული მოთხოვნის გამო, ერთბაშად დაკარგა არამხოლოდ მსახურთუხუცესის თანამდებობა და ციხე-ქალაქი თმოგვი*, არამედ სხვა მრავალრიცხოვანი ციხე-ქალაქები და მთელი ქონებაც კი.

თამარი ყოფილ მსახურთუხუცესს, ყუბასარისაგან განსხვავებით, ვერაფრით დაეხმარა.

ქართველმა დიდებულებმა პირველი წარმატება იზეიმეს და დათმობა მეფის სისუსტედ ჩათვალეს. როგორც ჩანს, არისტოკრატთა ქალის მეფობას დაუკავშირა იმ იმედების განხორციელება, რასაც გიორგი III-ის მეფობამ ფრთა შეკვეცა.

სხვა მოთხოვნებმაც არ დააყოვნა. ყუბასარისა და აფრიდონისათვის თანამდებობების ჩამორთმევისთანავე სახიფათოდ გააქტიურდა ქართული არისტოკრატის ერთ-ერთი დაჯგუფების ლიდერი, მეჭურჭლეთუხუცესი* ყუთლუ-არსლანი, რომელიც თბილისში, ისნის ველზე, პარლამენტის მსგავსი სახელმწიფო დაწესებულების დაარსების მოთხოვნით გამოვიდა და თამარის სამეფო ძალაუფლების შეზღუდვა-გაკონტროლება გადაწყვიტა.

ამჯერად, თამარის მხრიდან დათმობაზე წასვლა შეუძლებელი იყო, ეს სამეფო ხელისუფლების აშკარა მარცხს მოასწავებდა.

ამიტომ, მან დაუყოვნებლივ მიიღო საპასუხო ზომები, გაკადნიერებული ყუთლუ-არსლანი, რომელიც ყუბასარისათვის ჩამორთმეული ამირსპასალარის თანამდებობის ხელში ჩაგდებას გეგმავდა, ტყვედ შეიპყრო და მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა ჩამოართვა.

ყუთლუ-არსლანის თანამოაზრეები მეფის მოქმედების გამო, დიდად შეშფოთდნენ და ისნის სამეფო სასახლეზე* გადაწყვიტეს იერიშის მიტანა.

ქართული სახელმწიფო შიდა დაპირისპირების საფრთხის წინაშე დადგა. თამარისა და ყუთლუ-არსლანის მომხრეთა შორის სისხლისღვრა, რა შედეგითაც არ უნდა დასრულებულიყო ეს ბრძოლა, ქვეყანას კარგს არაფერს უქადდა.

ომის თავიდან აცილების მიზნით თამარმა დიპლომატიის გზას მიმართა და ამბოხებულებთან მოსალაპარაკებლად ორი დიდგვაროვანი ქალი გაგზავნა: ხუაშაქ ცოქალი, ქართლის ერისთავის, რატი სურამელის დედა და კრავაი ჯაყელი.

მეფის წარგზავნილთა და ყუთლუ-არსლანის მომხრეთა მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, ამბოხებულები თამარს ეახლნენ, პატიება ითხოვეს და მის წინაშე ერთგულების ფიცი დადეს.

ყუთლუ-არსლანის გამოსვლის დამარცხების შემდეგ თამარმა მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე დაუყოვნებლივ განაწესა მისი ერთგული მოხელეები. ესენი იყვნენ:

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი* – ანტონ გლონისთავისძე, გაზრდილი გიორგი III-ისა.

ამირსპასალარი – სარგის მხარგრძელი, რომელსაც თანამდებობასთან ერთად, გადაეცა ციხე-ქალაქი ლორე და მისი მიმდგომი ტერიტორია.

მანდატურთუხუცესი – ჭიაბერი.

მეჭურჭლეთუხუცესი – კახაბერ ვარდანისძე.

მსახურთუხუცესი – ვარდან დადიანი.

ჩუხჩარხი* – მარუშიანი, რომლის მამაც, აგრეთვე, ჩუხჩარხი იყო.

ამილახორი* – გამრეკელ თორელი.

სვანთა ერისთავი* – ბარამ ვარდანისძე.

რაჭისა და თაკვერის ერისთავი – კახაბერ კახაბერისძე.

ცხუმის ერისთავი – ოთალო შარვაშისძე.

არგვეთის ერისთავი – ამანელისძე.

ოდიშის ერისთავი – ბედიანი.

ქართლის ერისთავი – რატი სურამელი.

კახეთის ერისთავი – ბაკურყმა ძაგანისძე.

ჰერეთის ერისთავი – ასათ გრიგოლისძე.

სამცხის ერისთავი და სპასალარი – ბოცო ჯაყელი.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია თამარის მიერ დადგენილ სხვა მოხელეთა ვინაობა. სამაგიეროდ, ვიცით, რომ სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო მოხელეები და ერისთავები შეადგენდნენ იმ სამხედრო ელიტას, ვისი ხელმძღვანელობითაც აწარმოებდა საქართველო მრავალრიცხოვან საბრძოლო მოქმედებებს თამარის მეფობის პირველ პერიოდში.

სამოხელეო აპარატის სრულად დაკომპლექტების შემდეგ ქართულმა საერო და სასულიერო ხელისუფლებამ დღის წესრიგში დასვა თამარის გათხოვებისა და მის თანამეცხედრედ ისეთი პირის შერჩევის საკითხი, რომელიც შეძლებდა,

გიორგი III-ის მსგავსად, მთავარსარდლობა გაეწია საქართველოს სამხედრო ძალებისათვის.

თამარის შესაძლო თანამეცხედრესთან დაკავშირებით, დიდებულთა აზრი იმთავითვე ორად გაიყო.

ერთნი უპირატესობას ბიზანტიის საიმპერატორო გვარის წარმომადგენელს, იმხანად საქართველოში მყოფ ალექსი კომნენოსს აძლევდნენ, ხოლო მეორენი თბილისის ამირას,* აბულასან იობისძის მიერ შემოთავაზებული კანდიდატურისაკენ იხრებოდნენ. ეს უკანასკნელი ქართულ არისტოკრატიას ნოვგოროდის ყოფილ მთავარს, გიორგი ბოგოლუბსკის სთავაზობდა, რომელიც იმხანად დევნილობაში იყო და ყვიჩაღთა მეფეს აფარებდა თავს.

საბოლოოდ, ქართველმა დიდებულებმა უპირატესობა გიორგი ბოგოლუბსკის კანდიდატურას მისცეს და მისი საქართველოში ჩამოყვანა თბილისელ დიდვაჭარს ზანქან ზორაბაბელს დაავალეს. მალე გიორგი საქართველოში ჩამოვიდა.

აქ რუსი მთავარი პირადად გაიცნეს და დიდად მოიწონეს თამარის მამიდამ, დედოფალმა რუსუდანმა, ქართლის კათოლიკოსმა მიქაელ მირიანისძემ, უმაღლესმა სამხედრო მოხელეებმა, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოდან გამოსულმა დიდებულებმა და სხვა.

მას შემდეგ, რაც სასურველი კანდიდატი მოინახა, ქართველი საერო და სასულიერო პირები თამარის დაყოლიებას შეუდგნენ და მალე საწადელსაც მიაღწიეს. ამავე, 1185 წელს თამარმა გიორგიზე იქორწინა.

შიდა პოლიტიკური მდგომარეობის მეტ-ნაკლებად მოწესრიგების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ მთელი ყურადღება საგარეო პოლიტიკაზე გადაიტანა.

სამეფო კარის მთავარ საფიქრალს ქვეყნის სამხრეთი საზღვრის გასწვრივ სოკოებივით მოძრავლებული თურქული პოლიტიკური გაერთიანებები წარმოადგენდა, რომლებიც მეტად აგრესიულ სამხედრო პოლიტიკას ატარებდნენ საქართველოს წინააღმდეგ და ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში თავს ესხმოდნენ ცალკეულ საზღვრისპირა პროვინციებს.

თამარის მეფობის პერიოდში თურქთა ერთ-ერთი პირველი ასეთი თავდასხმა პალაკაციოს ტერიტორიაზე მოხდა.

პალაკაციოში შემოჭრილი თურქების ლაშქარი საკმაოდ შორიდან, გელაქუნიდან* იყო მოსული და მტკვრის ხეობის ზემო წელის მოთარეშებას ისახავდა მიზნად.

მარბიელი თურქების მოძრაობა ქართველებმა დროულად შენიშნეს. მტრის შესახვედრად დაძრულ ქართულ საბრძოლო შენაერთს სათავეში ამილახორი, გამრეკელ თორელი ჩაუდგა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქები რიცხოვრივად ბევრად აღემატებოდნენ ქართველებს, გამრეკელმა სასტიკად დაამარცხა მტერი, განდევნა ისინი ქვეყნის ტერიტორიიდან და თურქებისათვის წართმეული ალაფი, გამარჯვების ნიშნად, თბილისს, სამეფო კარზე გაგზავნა.

საქართველოს სამხედრო ხელისუფლება, როგორც ჩანს, არ დააკმაყოფილა გამრეკელ თორელის მიერ ქვეყანაში შემოჭრილი მტრის დამარცხებამ და ახლა თავად გადაწყვიტა იერიშზე გადასვლა.

1185 წელს ლაშქარმა თბილისში მოიყარა თავი. მხედართა შორის უფრო დასავლეთ საქართველოდან მოსული მეომრები ჭარბობდნენ. სამხედრო ოპერაციას პირადად გიორგი ბოგოლუბსკი ჩაუდგა სათავეში.

მეფის პირველი ლაშქრობის კეთილად გასრულებისათვის, ქართველებმა თან წარიტანეს სახელოვანი ქართველი მეფეების – ვახტანგ გორგასლისა და დავით IV აღმაშენებლის ნაქონი, მრავალ ბრძოლაში გამარჯვებული სამეფო დროშა.

ქართველებმა შეტევითი ოპერაციის პლაცდარმად საგანგებოდ შეარჩიეს პალაკაციოს მხარე ანუ თურქთა მიერ სულ მცირე ხნის წინ დარბეული პროვინცია.

პალაკაციოდან გიორგი ბოგოლუბსკიმ იერიში თავდაპირველად სამხრეთის მიმართულებით დაიწყო და მომიჯნავე ყარსის პროვინციაში შეიჭრა. თურქებმა ქართველებისათვის ვერანაირი წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს.

ყარსის რაიონის მოთარეშების შემდეგ ქართველებმა შეტევის მიმართულება შეცვალეს, სამხრეთ-დასავლეთისაკენ აიღეს გეზი და თურქთა კონტროლის ქვეშ მყოფ კიდევ ერთ სომხურ პროვინციაში – კარნიფორში* შეიჭრნენ. თურქებმა ვერც აქ მოახერხეს ქართველთა იერიშის შეჩერება.

გიორგი ბოგოლუბსკიმ დაუბრკოლებლად მოარბია მთელი კარნიფორი, თარეშით მიაღწია გაცილებით უფრო სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პროვინციის – ბასიანის* საზღვარს და აქედან უკან, საქართველოში დაბრუნდა.

ალაფით დატვირთული ქართული მხედრობა თბილისს ჩავიდა და გამარჯვებული წარუდგა თამარს.

სხვათა შორის, გამარჯვებული ლაშქრის მაინცადამაინც თბილისს ჩასვლას თავის კონკრეტული მიზეზი ჰქონდა.

საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მიღებული წესის თანახმად, სამხედრო შენაერთების მიერ ლაშქრობაში მოპოვებული ალაფის ერთი მეხუთედი მეფის საკუთრება იყო და შინ დაბრუნების შემდეგ აუცილებლად უნდა ეახლებინათ მისთვის.

ამიტომაც იყო, რომ ლაშქრობიდან დაბრუნებული ქართული მხედრობა, როგორც წესი, ჯერ თბილისს ჩადიოდა და ალაფის კუთვნილ მეხუთედსაც პირადად გადასცემდა მეფეს.

ქართველების მიერ ყარსსა და კარნიფორში მოწყობილი სამხედრო ოპერაციის საპასუხოდ, თურქებმა ახალი დიდი ლაშქრობისათვის დაიწყეს მზადება. საქართველოზე თავდასხმის ორგანიზების საქმეს სათავეში ჩაუდგა ერთ-ერთი მსხვილი თურქული პოლიტიკური გაერთიანება – კარნუქალაქის საამირო*, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ბასიანის პროვინცია ესაზღვრებოდა.

კარნუქალაქელი თურქები კარგად ხედავდნენ, რომ ქართველთა მომდევნო ლაშქრობის ობიექტი უკვე არა ყარსი და კარნიფორი, არამედ ბასიანი და

კარნუქალაქი იქნებოდა, ამიტომაც მოწინააღმდეგისათვის დასწრება და საქართველოზე შეტევა გადაწყვიტეს.

კარნუქალაქელთა მიერ წამოწყებულ საომარ სამზადისში აქტიურად იყვნენ ჩართული სირიიდან და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა რეგიონებიდან მოსული თურქებიც.

თურქებმა სამხედრო ოპერაცია 1185 წელს დაიწყეს. თავდაპირველად მათ შეტევა ელვისებურად განავითარეს, საზღვრისპირა ქართული პროვინციები სწრაფი მარშით გაიარეს და სულ მოკლე ხანში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სიღრმეში, კლარჯეთსა და შავშეთში აღმოჩნდნენ.

იოლი წარმატებით განარებულმა თურქებმა დაკავებული ტერიტორიის საძარცვადაც მარბიელთა მრავალრიცხოვანი რაზმები სხვადასხვა მიმართულებით დაგზავნეს და ამით საკუთარი სამხედრო ძალები წინდაუხედავად დაქსაქსეს.

თურქთა მიერ დაშვებული შეცდომა კარგად შენიშნეს ქართველებმა და გადაწყვიტეს, პირდაპირ მოწინააღმდეგის ძირითად ბირთვზე მიეტანათ იერიში.

ქართველთა მხრიდან სამხედრო ოპერაციას მეთაურობდნენ გუზან ტაოსკარელი და სამცხის ერისთავი, ბოცო ჯაყელი. მათ დაქვემდებარებაში იყო, ძირითადად, ტაოსა და სამცხის ლაშქარი.

ქართველებმა დარტყმა პირდაპირ თურქთა ძირითადი ბირთვის მიმართულებით განახორციელეს, რომლის ბრძოლისუნარიანობაც, მარბიელი რაზმების ჩამოცილების გამო, ძალზე დაქვეითებული იყო. თურქულმა შენაერთებმა შეტევას ვერ გაუძლეს და დამარცხდნენ.

ქართველებმა ბრძოლის ველიდან გაქცეული თურქების ერთი ნაწილი დახოცეს, მათი უმრავლესობა კი – ტყვედ ჩაიგდეს.

ამ წარმატებული სამხედრო ოპერაციის აღსანიშნავად, მრავალრიცხოვანი ტყვე თურქები, როგორც ქვეითები, ისე ცხენოსნები, თბილისს, სამეფო კარზე გაგზავნეს.

მომდევნო, 1186-1187 წლებში ქართველებმა თურქებს ქვეყნის სამხრეთი პროვინციებიდანაც შეუტიეს.

საბრძოლო მოქმედებების ამ მიმართულებას ამირსპასალარ სარგის მხარგრძელის ვაჟები – ზაქარია და ივანე, აგრეთვე, სარგისის ძმის, ვარამ მხარგრძელის ვაჟები – ზაქარია და სარგისი ხელმძღვანელობდნენ.

მხარგრძელთა პირველი მარბიელი ლაშქრობის მიზანი იყო თურქთა მიერ დაპყრობილი ძველი სომხური ქალაქის, დვინის* მიმდებარე ტერიტორიის მოთარეშება და ამ რეგიონში თურქთა კონტროლის შესუსტება.

შეტევის პლაცდარმად, სავარაუდოდ, შერჩეული იყო მხარგრძელთა კუთვნილი ლორეს რეგიონი.

მხარგრძელებმა სამხედრო ოპერაცია 1186-1187 წლებში განხორციელეს. თავდაპირველად მათ დაუბრკოლებლად მოითარეშეს დვინის მიდამოები და უკან გამობრუნდნენ.

მალე ალაფით დატვირთულ ქართველთა ლაშქარს ქალაქ დვინიდან და სურმარის პროვინციიდან მოსული სამხედრო შენაერთები წამოეწია.

თურქები შეტევაზე გადავიდნენ. მხარგრძელებმა მოწინააღმდეგის იერიშს კონტრშეტევით უპასუხეს. სისხლისმღვრელი ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა და საბოლოოდ ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

ქართული მხედრობა თბილისს ჩავიდა და თამარს წარუდგა.

მხარგრძელთა წარმატებამ, ქართულ სამხედრო არისტოკრატიას დვინის წინააღმდეგ კიდევ უფრო მასშტაბური ექსპედიციის მოწყობისაკენ უბიძგა.

მეორე ლაშქრობისათვის ჯარი მთელი საქართველოდან შეკრიბეს. მხედრობას სათავეში გიორგი ბოგოლუბსკი ჩაუდგა. ლაშქრობა, 1186-1187 წლებში, სავარაუდოდ, თბილისიდან დაიწყო.

თურქების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შეჭრილი ქართველები, ამჯერად, მხოლოდ დვინის მიდამოების მორბევით აღარ დაკმაყოფილდნენ და საკუთრივ დვინზეც მიიტანეს იერიში.

ქალაქში გამაგრებული თურქები, როგორც ჩანს, არ ელოდნენ ქართველთა შეტევას და მოწინააღმდეგეს მოუმზადებელნი შეხვდნენ. გიორგი ბოგოლუბსკიმ დვინი აიღო და უზარმაზარი ალაფით დაბრუნდა საქართველოში.

გამარჯვებული ლაშქარი თბილისს დაბრუნდა და თამარს ეახლა.

დვინის აღებისა და გაძარცვის შემდეგ, ამავე 1186-1187 წლებში, ქართველებმა კიდევ ერთი ლაშქრობა მოაწყვეს სამხრეთის მიმართულებით.

ამჯერად, შეტევის ობიექტი გელაქუნის პროვინცია იყო. ამ რეგიონში დამკვიდრებული მრავალრიცხოვანი თურქმანული ტომები საკმაოდ აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდნენ ქართული საზღვრისპირა პროვინციების მიმართ.

სწორედ გელაქუნელი თურქმანების მიერ იყო ორგანიზებული, მცირე ხნით ადრე, პალაკაციოს რაიონზე მომხდარი თავდასხმა, რომელიც წარმატებით მოიგერია ამილახორმა, გამრეკელ თორელმა.

გელაქუნის მიმართულებით დაწყებული სამხედრო მოქმედებების პლაცდარმად, სავარაუდოდ, კაენის პროვინცია უნდა ყოფილიყო შერჩეული.

ქართველთა ლაშქარმა იერიში მოულოდნელად მიიტანა გელაქუნელ თურქმანებზე, რომლებიც თავისი მრავალრიცხოვნობის იმედად იყვნენ და არ მოელოდნენ, რომ მოწინააღმდეგე მათზე თავდასხმას გაბედავდა. ქართველებმა მოულოდნელობის ეფექტით ისარგებლეს, მრავალი თურქმანი ამოწყვიტეს, დიდი ალაფი აიღეს და უკან გამობრუნდნენ.

თურქმანებმა მოკლე ხანში მოახერხეს მრავალრიცხოვანი ლაშქრის შეკრება, ქართველებს კვალში ჩაუდგნენ და მალე დაეწივნენ კიდევ.

თურქმანთა შენაერთებს ორი სირიელი დიდგვაროვანი – როსტომი და იალღუზ-ალფესი მეთაურობდა.

მოწინააღმდეგეებმა სამხედრო დანაყოფები საომრად განალაგეს და შეტაკებაც დაიწყო.

სასტიკი ბრძოლის ბედი ქართველთა სიმამაცემ გადაწყვიტა. მათ თავგანწირული იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე, ბრძოლის ველიდან გააქციეს თურქმანები და ხოცვით მიჰყვნენ უკან.

ბრძოლის დროს თავი თითქმის ყველა ქართველმა მოლაშქრემ გამოიჩინა.

გამარჯვებული ქართული მხედრობა თბილისს ჩავიდა და თამარს წარუდგა.

ამავე 1186-1187 წლებში, გელაქუნის მიდამოების მოთარეშების შემდეგ, ჰერეთის ერისთავმა, ასათ გრიგოლისძემ ახალი, ბევრად უფრო მასშტაბური ლაშქრობის იდეა წამოაყენა.

გეგმის თანახმად, ქართული საბრძოლო შენაერთები გაცილებით უფრო ღრმად უნდა შეჭრილიყვნენ თურქების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, არაქსის ჩრდილოეთით მდებარე ძველი სომხური პროვინციები დაერბიათ და იქ მაქსიმალურად შეესუსტებინათ თურქთა გავლენა.

ქვეყნის სამხედრო ხელისუფლებამ გეგმა მოიწონა. ლაშქარს მთელი საქართველოდან მოუყარეს თავი.

ხანგრძლივ სამხედრო ოპერაციას სათავეში პირადად ჩაუდგა გიორგი ბოგოლუბსკი. ლაშქრობაში მონაწილეობა თითქმის მთელმა ქართულმა სამხედრო ელიტამ მიიღო. მათ შორის იყვნენ: სამოქმედო გეგმის ავტორი, ჰერეთის ერისთავი ასათ გრიგოლისძე; მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი; მხარგრძელები – ზაქარია და ივანე სარგისის ძეები, ზაქარია და სარგის ვარამის ძეები და სხვა.

ლაშქრობა, სავარაუდოდ, ჰერეთის საერისთავოს ადმინისტრაციული ცენტრიდან, ქალაქ გიშიდან* დაიწყო.

ქართული მხედრობა, თავდაპირველად, სამხრეთისაკენ დაძრა და მტკვარზე დადებული სახელმწიფო საზღვარი სადღაც, რანის* ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის, ქალაქ განძის* აღმოსავლეთით გადალახა.

ამ ოსტატური მანევრის წყალობით, ქართველებმა ყოველგვარი დანაკარგების გარეშე აუარეს გვერდი განძაში გამაგრებულ თურქულ შენაერთებს, რომლებიც ქართველთა შემოტევას ჩრდილო-დასავლეთიდან ელოდებოდნენ.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადასული ქართველები მდინარეს ქვემოთ დაუყვნენ, რანის პროვინცია დაუბრკოლებლად მოითარეშეს და ქალაქ ბაილაყანამდე* მიაღწიეს.

ბაილაყანიდან ქართულმა მხედრობამ სამხედრო ოპერაციის მიმართულება მკვეთრად შეცვალა, არაქსის მარცხენა ნაპირზე გავიდა და მდინარეს ზემოთ, არარატის მთისაკენ აუყვა.

ქართველებმა გზად თურქთა კონტროლის ქვეშ მყოფი სივნიეთისა და ნახიჩევანის* ძველი სომხური პროვინციები მოარბიეს, არაქსის მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ და არარატის მთის მიდამოებს მიაღწიეს.

აქ ქართველებს უკან დადევნებული თურქების დიდი ლაშქარი წამოეწია. სისხლისმღვრელი ბრძოლა ქართული მხედრობის გამარჯვებით დასრულდა.

ბრძოლის დროს თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს მსახურთუხუცესმა ვარდან დადიანმა და მხარგრძელებმა.

არარატის მიდამოებში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ქართველები უკან, საქართველოში დაბრუნდნენ.

ამასობაში, დადგა 1187 წელი და საქართველოს სამეფო კარზე დიდი ცვლილებები მოხდა. თამარმა თანამეცხედრესთან განქორწინება გადაწყვიტა.

როგორც აღმოჩნდა, გვირგვინოსანი დედოფალი ორი წლის განმავლობაში მორჩილად იტანდა და საიდუმლოდ ინახავდა გიორგი ბოგოლუბსკის მრავალ უზნეო საქციელს, მათ შორის, ლოთობასა და მამათმავლობას.

ქართული არისტოკრატის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. დიდებულთა ერთმა ნაწილმა გიორგი ბოგოლუბსკის სიკვდილით დასჯაც კი მოითხოვა, თუმცა თამარმა დიდსულოვნად შეიწყალა ყოფილი თანამეცხედრე, დიდი სიმიდრე მისცა და გემით ბიზანტიის დედაქალაქს, კონსტანტინოპოლს გაგზავნა.

გიორგი ბოგოლუბსკის განდევნის შემდეგ, დღის წესრიგში ისევ დადგა თამარის ქორწინების საკითხი, მისი ხელის მთხოვნელი კი უამრავი გვირგვინოსანი აღმოჩნდა.

თბილისს პირველად კარნუქალაქელი უფლისწული მუტაფრადინი ჩავიდა. უზარმაზარი ამალითა და ძვირფასი საჩუქრებით თამარს ეახლა, ხელი სთხოვა და ქორწინების სანაცვლოდ მაჰმადიანობის უარყოფასაც კი დაჰპირდა.

თამარმა ჯეროვანი პატივით მიიღო კარნუქალაქელი უფლისწული, თუმცა მეორედ ქორწინებაზე უარი თქვა და მუტაფრადინს თავისი ნახევარდა, გიორგი III-ის უკანონო ასული მიათხოვა.

მცირე ხნის შემდეგ თბილისს ახლა უკვე შირვანის* შაჰი, აღსართან I ეწვია. ოფიციალური ვერსიის თანახმად, იგი სამეფო კართან მოლაპარაკების მიზნით იმყოფებოდა საქართველოში, თუმცა რეალურად, თამარის ხელის სათხოვნელად აპირებდა ნიადავის მოსინჯვას.

შირვანის შაჰმა ძვირფასი საჩუქრები მიართვა ქართლის კათოლიკოსს, მაჰმადიანობაზე უარის თქმას დაჰპირდა და თამარზე ქორწინების საქმეში დახმარების გაწევა სთხოვა.

ქართლის კათოლიკოსის მხარდაჭერის მიუხედავად, აღსართან I-ის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. თამარმა კვლავ უარი თქვა მეორედ ქორწინებაზე.

ქართველი არისტოკრატია ძალზედ შეაშფოთა მეფის შეუვალმა პოზიციამ და მისგან ლამის კატეგორიულად მოითხოვეს მეორედ ქორწინება. დიდებულებს თამარის თანამეცხედრის სახით, სამხედრო ძალების ახალი მთავარსარდლის გამოჩენა და სამეფო ტახტის მემკვიდრის დაბადება სურდათ.

დიდი ხნის მცდელობის შემდეგ დიდებულებმა საწადელს მიაღწიეს და გიორგი III-ის დის, დედოფალ რუსუდანის დახმარებით, თამარი მეორე ქორწინებაზე დაითანხმეს.

თამარის თანამეცხედრედ შეარჩიეს ოსი უფლისწული დავით სოსლანი, რომელიც საქართველოში, დედოფალ რუსუდანის კარზე იზრდებოდა და თავისი ზნეკეთილობით გამოირჩეოდა.

ქორწილი, რომელსაც უამრავი სტუმარი ესწრებოდა, თბილისის გარეუბანში, დიდუბის სამეფო სასახლეში, დიდი ზარ-ზეიმით გადაიხადეს.

თამარის მეორე ქორწინებიდან გარკვეული დროის შემდეგ, 1191 წელს ბიზანტიაში განდევნილი გიორგი ბოგოლუბსკი კარნუქალაქს მოვიდა და აქ

ფარულად შეხვდა საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის მოადგილეს ანუ ნაცვალს.

მოლაპარაკების დროს, ამ უკანასკნელმა მეფე-ყოფილს დასავლეთ საქართველოს არისტოკრატიის სახელით, თამარის წინააღმდეგ გამოლაშქრება და სამეფო ტახტის დაკავება შესთავაზა.

ლიხთიმერელი ფეოდალები, გიორგი ბოგოლუბსკის სრულ მხარდაჭერასა და სხვა ღიღებულების გადმობირებას ჰპირდებოდნენ, დახმარების სანაცვლოდ კი, მისგან უფრო მაღალი სახელმწიფო თანამდებობების მიღებას ელოდებოდნენ.

ფარული მოლაპარაკება მხარეების შეთანხმებით დასრულდა.

1191 წელს გიორგი ბოგოლუბსკიმ საქართველოს საზღვარი გადმოლახა და ტაოს ტერიტორიაზე შევიდა. გუზან ტაოსკარელმა ცენტრალურ ხელისუფლებას უღალატა და თავისი სამხედრო შენაერთებით გიორგი ბოგოლუბსკის მხარეს გადავიდა.

მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ამბოხებულთა კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. მეფე-ყოფილი გარკვეული დროით გუზან ტაოსკარელთან დარჩა და შემდეგი მოქმედებებისათვის შეუდგა მზადებას.

ახალი ამბების შეტყობისთანავე მსახურთუხუცესი ივანე დადიანი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში, ქვეშის ციხეში* იმყოფებოდა, ვითომცდა თამარის პოზიციების გასამაგრებლად დასავლეთ საქართველოში გადავიდა, გეგუთის სამეფო სასახლეში* დაბანაკდა და ლაშქრის შეყრას შეუდგა.

ამ დროისათვის ვარდან დადიანი საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სახელმწიფო მოხელე იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში მას ექვემდებარებოდა ქვემო ქართლისა და ჩრდილოეთ სომხეთის უმნიშვნელოვანესი ციხეები: ორბეთი, ქვეში და კაენი, მათი მიმდებარე ტერიტორიითურთ.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ იგი მთელი ლიხთიმერეთის სამხედრო ძალების სარდლობას ფლობდა.

ვარდან დადიანის მოწოდებაზე ლაშქარი მთელი დასავლეთ საქართველოდან მოვიდა: სვანეთიდან, აფხაზეთიდან, ოდიშიდან, გურიიდან, სამოქალაქოდან, რაჭიდან, თაკვერიდან და არგვეთიდან.

გეგუთში ლიხთიმერეთის ლაშქართან ერთად, იმყოფებოდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან მოწვეული მეომართა რაზმებიც.

ვარდან დადიანმა მის მიერ შეკრებილი ლაშქარი გიორგი ბოგოლუბსკის ერთგულებაზე დააფიცა და გუზან ტაოსკარელის სამხედრო ძალებთან შესაერთებლად სამხრეთისაკენ დაიძრა.

ამრიგად, მთელი ლიხთიმერეთი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მსგავსად, აგრეთვე, გიორგი ბოგოლუბსკის კონტროლის ქვეშ გადავიდა.

დასავლეთ საქართველოში თამარის ერთგული მხოლოდ ერთი მაღალი სასულიერო რანგის მოხელე, ქუთათელი ეპისკოპოსი ანტონ საღირისძე დარჩა.

ვარდან დადიანის ლაშქრისა და გუზან ტაოსკარელის სამხედრო დანაყოფების გაერთიანების შემდეგ გიორგი ბოგოლუბსკის დროშის ქვეშ მრავალრიცხოვანმა მხედრობამ მოიყარა თავი.

ამით გათამამებულმა ამბოხებულებმა გუზან ტაოსკარელის საგანმგებლო ტერიტორია დატოვეს და სამცხეში მივიდნენ. აქ მათ მხარეზე გადავიდნენ სამცხის ერისთავი ბოცო ჯაყელი და სხვა მესხი დიდებულები.

სამცხეში თამარის ერთგულება მხოლოდ ყვარყვარე ციხისჯვარელმა შეინარჩუნა, რომელიც მომხრეებთან ერთად, სავარაუდოდ, ციხე-ქალაქი ოძრხის* მიდამოებში გამაგრდა.

ამბოხებულებმა გზა სამცხიდან ჩრდილოეთისაკენ განაგრძეს, იმერეთში გადავიდნენ, გიორგი ბოგოლუბსკი გეგუთის სასახლეში სამეფო ტახტზე დააბრძანეს, თავად კი, იქვე, ქუთაისის მიდამოებში დაბანაკდნენ.

პარალელურად ამისა, სამეფო კარის წინააღმდეგ მიმართულმა პროცესებმა თავი იჩინა ქვემო ქართლისა და ჩრდილოეთ სომხეთის მთელ რიგ პროვინციებშიც, რომლებიც ამბოხებულთა მომხრეებს ეკუთვნოდათ: გაგი – ივანე ვარდანისძეს, კაიწონი – მაყას, კაენი – თავად ვარდან დადიანს და სხვა.

შედეგად, აღნიშნული პროვინციები, ისე, როგორც მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ასევე, გიორგი ბოგოლუბსკის კონტროლის ქვეშ გადავიდა.

ამბოხებულთა მოქმედებებს თვალს ფხიზლად ადევნებდა ცენტრალური ხელისუფლება.

თამარმა, პირველ ყოვლისა, თავისთან იხმო მისი ერთგული ერისთავები და მათი დახმარებით, საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა: ჰერეთში, კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში, ჩრდილოეთ სომხეთსა და სამცხეში მობილიზებული სამხედრო შენაერთები.

მეფის მიერ შეკრებილ ლაშქარს სათავეში, იმ დროისათვის უკვე ამირსპასალარის თანამდებობაზე დაწინაურებული, გამრეკელ თორელი ჩაუდგა.

სამხედრო ძალების თავმოყრისა და საბრძოლველად მომზადების მიუხედავად, თამარმა მაინც სცადა სისხლისღვრის თავიდან აცილება, გულმოწყალება გამოიჩინა და ამბოხებულებთან მოსალაპარაკებლად მრავალგზის გაგზავნა ქართლის კათოლიკოსი თეოდორე I, ქუთათელი მთავარეპისკოპოსი ანტონ საღირისძე, სამეფო კარის მოხელეები – ეჯიბები, მესტუმრეები და სხვა.

ამბოხებულებმა ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე უარი განაცხადეს და თამარის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს. მათ ლაშქარი შუაზე გაყვეს და ორი მიმართულებით დაიწყეს მოძრაობა.

სამხედრო შენაერთების ერთმა ნაწილმა ლიხის ქედი გადმოლახა, ქართლში შემოვიდა, ქალაქ გორს ზემოთ მდებარე ტერიტორია დაიკავა და ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-რბევას შეუდგა.

ქართლელ დიდებულთა ერთი ნაწილი ამბოხებულთა მხარეს გადავიდა. მათ ლაშქარს შეუერთდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ მეომართა რაზმებიც.

ამბოხებულთა ლაშქრის მეორე ნაწილი, რომელსაც ვარდან დადიანი და სხვა დადიანები ხელმძღვანელობდნენ, ფერსათის ქედით სამცხეში გადავიდა და ციხე-ქალაქი ოძრხე დაწვა.

ოდრხესთან ვარდან დადიანს ბოცო ჯაყელი და სხვა მესხი დიდებულები შეუერთდნენ. აქ ამბოხებულებმა სამხედრო მოქმედებების საბოლოო გეგმა შეათანხმეს.

გეგმის თანახმად, ვარდან დადიანი და ბოცო ჯაყელი, პირველ რიგში, ჯავახეთის ძირითად ციხე-ქალაქებს – თმოგვსა და ახალქალაქს დაიკავებდნენ, აქედან, აღმოსავლეთისაკენ დაიძვრებოდნენ, თრიალეთზე საკუთარ კონტროლს დაამყარებდნენ, ქვემო ქართლში ჩავიდოდნენ და აქ, აგარათა ციხის* მიდამოებში შეუერთდებოდნენ გაგიდან და ჩრდილოეთ სომხეთიდან მოსულ მომხრეებს. საბრძოლო მოქმედებების ბოლო ეტაპზე აგარათა ციხის მიდამოებში თავმოყრილი ლაშქარი თბილისს დასავლეთიდან და სამხრეთიდან მიადგებოდა, გორის მიდამოებიდან დაძრული მხედრობა – ჩრდილოეთიდან და ალყაში მოქცეულ დედაქალაქს იერიშით აიღებდნენ.

ოდრხესთან მდგომი ამბოხებულები შეთანხმებული გეგმის თანახმად, ჯავახეთისაკენ დაიძრნენ.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ საპასუხო ზომებს მიმართა, საკუთარი ლაშქარი ჯავახეთში გაგზავნა და მტკვრის ნაპირზე გამაგრება უბრძანა.

მალე მტკვარს მეორე ნაპირიდან ამბოხებულებიც მოადგნენ და მდინარეზე გადებული ხიდის მიდამოებში სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა.

თამარის მომხრეთა ლაშქარს ამირსპასალარი, გამრეკელ თორელი მეთაურობდა. მასთან ერთად იყვნენ თორელთა ფეოდალური სახლის სხვა წარმომადგენლები, მხარგრძელები – ზაქარია და ივანე სარგისის ძეები, ზაქარია და სარგის ვარამის ძეები, სავარაუდოდ, ყვარყვარე ციხისჯვარელი და სხვა.

ამბოხებულთა სამხედრო შენაერთებს ვარდან დადიანი და ბოცო ჯაყელი სარდლობდნენ.

სასტიკი ბრძოლა დაღამებამდე გაგრძელდა, შემდეგ კი მოწინააღმდეგეებმა უკან დაიხიეს და თავდაპირველ პოზიციებზე გამაგრდნენ.

ღამით ამბოხებულებმა თათბირი გამართეს და ვინაიდან მიხვდნენ, რომ თამარის მომხრეებს წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდნენ, გადაწყვიტეს, მტკვრის აყოლებზე უკან დაეხიათ და ისეთ სტრატეგიულ ადგილას გამაგრებულიყვნენ, სადაც მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიებას და წარმატებული კონტრშეტევის განხორციელებას შეძლებდნენ.

ღამით ამბოხებულებმა პოზიციები დატოვეს და ერუშეთისაკენ დაიხიეს. გამრეკელ თორელი მოწინააღმდეგეს ფეხდაფეხ მიჰყვა, ნიალის ველზე* დაეწია და იერიში მიიტანა მათზე.

სისხლისმღვრელი ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს თამარის მომხრეთა გამარჯვებით დასრულდა. დამარცხებული ამბოხებულების უმრავლესობა ტყვედ ჩაუვარდა გამრეკელ თორელის ლაშქარს.

ნიალის ველზე მოპოვებული გამარჯვების ამბავი თბილისში სასწრაფოდ ჩაიტანა სარგის მხარგრძელმა.

ვარდან დადიანის დამარცხების ამბის შეტყობისთანავე თამარის კარზე მყოფი სამხედრო მოხელეები დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოქმედებას, საკუთარი შენაერთები თბილისიდან გაიყვანეს და დასავლეთის მიმართულებით დაიძრნენ.

თბილისიდან გამოსულ ლაშქარს გზად შეუერთდნენ ქართლის ერისთავის, რატი სურამელის სამხედრო დანაყოფები, რომლებიც მანამდე გორის მიდამოებამდე მოსული ამბოხებულებისაგან იცავდნენ დედაქალაქს.

თამარის მომხრეთა ლაშქარს პირადად მეთაურობდა დავით სოსლანი. მასთან ერთად იყვნენ: მანდატურთუხუცესი ჭიაბერი, ქართლის ერისთავი რატი სურამელი, ჰერი, კახელი და ქართლელი დიდებულები.

დავით სოსლანის სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობას იღებდნენ ყივჩაღთა საბრძოლო რაზმებიც.

ქართლში მყოფმა ამბოხებულებმა, რომლებმაც უკვე იცოდნენ ვარდან დადიანის ჯავახეთში დამარცხების ამბავი, დავით სოსლანთან შებრძოლებაზე უარი თქვეს, ქართლი დატოვეს და უკან, დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ.

დავით სოსლანი თბილისს დაბრუნდა და თამართან ერთად ქვემო ქართლს მივიდა.

გაგსა და ჩრდილოეთ სომხეთში გამაგრებული ამბოხებულები მიხვდნენ, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და თამარს, მორჩილების ნიშნად, ყელზე საბელშებმულები ეახლნენ.

ზოგიერთი ამბოხებული უფრო შორსაც წავიდა და სამეფო კარისათვის ერთგულების დამტკიცების მიზნით, საკუთარი ბიძაც კი გამოასალმა სიცოცხლეს.

თამარმა ამბოხებულები კეთილად შეიწყნარა და ღალატი აპატია, თუმცა კი, მანამდე კუთვნილი ციხე-ქალაქები და სახელმწიფო თანამდებობები ჩამოართვა და თავის ერთგულ ფეოდალებს გადასცა.

კერძოდ, მსახურთუხუცესობა და კაენის პროვინცია ჩამოართვეს ვარდან დადიანს და მის ნაცვლად, გადასცეს ნიალის ბრძოლაში დაჭრილ ივანე მხარგრძელს. ივანე მხარგრძელს უბოძეს მანამდე მაყას კუთვნილი კაიწონის პროვინციაც.

ცვლილებები შეეხო გაგის პროვინციასაც, რომელიც ჩამოართვეს მის ძველ მფლობელს, ივანე ვარდანისძეს და გადასცეს ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელს.

ქვემო ქართლსა და ჩრდილოეთ სომხეთში მდგომარეობის მოწესრიგების შემდეგ თამარი შიდა ქართლს მივიდა და ნაჭარმაგევის სასახლეში დადგა.

აქ მას დასავლეთ საქართველოდან მოსული შუამავლები ეახლნენ. ლინთიმერელი დიდებულები თამარს სრულ მორჩილებას უცხადებდნენ, ოღონდ უვნებლობის პირობას იხვეწებოდნენ და თავდებობას დედოფალ რუსუდანს, კათოლიკოს თეოდორე I-ს, მანდატურთუხუცეს ჭიაბერსა და სხვა მათთვის მისანდო პირებს სთხოვდნენ.

შუამავლების გამოგზავნის პარალელურად, დასავლეთ საქართველოდან სვანი დიდებულები გადმოვიდნენ, თან გიორგი ბოგოლუბსკიც მოიყვანეს და თამარის პასუხს დაელოდნენ.

მეფემ ამბოხებულებსაც და მეფე-ყოფილსაც უვნებლობის პირობა მისცა.

მაშინ ისინი დედოფალ რუსუდანთან ერთად, ნაჭარმაგევი ეახლნენ თამარს.

თამარმა ამბოხებულებს ღალატი აპატია და მხოლოდ დაკავებული თანამდებობების ჩამორთმევა აკმარა, გიორგი ბოგოლუბსკის კი, ივანე მხარგრძელის თანხლებით დაატოვებინა საქართველოს ფარგლები.

გიორგი ბოგოლუბსკის გამოსვლის ჩახშობიდან მცირე ხნის შემდეგ გარდაიცვალა ამირსპასალარი გამრეკელ თორელი.

მაღლიერმა თამარმა მის მემკვიდრეებს ყველაფერი ხელშეუხებლად შეუნარჩუნა, მხოლოდ ციხე-ქალაქი თმოგვი ჩამოართვა და სარგის მხარგრძელს უბოძა.

რაც შეეხება ამირსპასალარობას, ეს თანამდებობა ზაქარია სარგისის ძე მხარგრძელს გადაეცა.

ამავე ზაქარიას, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ციხე-ქალაქ ლორეს მემკვიდრეობით ფლობდა, დამატებით, ციხე-ქალაქი რუსთავიც ებოძა.

თამარმა უხვად დაასაჩუქრა მანდატურთუხუცესი ჭიაბერიც და მას ციხე-ქალაქი ჟინვალი და არაგვის ხეობის დიდი ნაწილი გადასცა.

წყალობის გარეშე არც თამარის ერთგული სხვა დიდებულები დარჩენილან. მეფემ ჯეროვნად დაასაჩუქრა: წირქვალელები, ზარტიბისძეები, გრიგოლისძეები, ჭიაბერისძეები, მახატლისძეები, თორღაისძეები და სხვა.

თამართან პატიების სათხოვნელად გამოცხადებულ ამბოხებულებს შორის, როგორც ჩანს, არ იყო გუზან ტაოსკარელი. ამ უკანასკნელმა, არათუ არ შეინანა საკუთარი საქციელი, არამედ გააგრძელა კიდევ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და ამ მიზნით, ახალ მოკავშირეებს დაუწყო ძებნა.

კერძოდ, გუზან ტაოსკარელი პირადად ეახლა ხლათის* სულთანს და მას ტაოსკარის*, ვაშლოვანისა* და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ციხეები გადასცა.

გუზან ტაოსკარელთან ერთად, ხლათის სულთანს მორჩილება გამოუცხადეს ამბოხების მონაწილე სხვა ქართველმა დიდებულებმაც: სამცხიდან გამოქცეულმა სამბივარმა და მისმა აზნაურებმა, მეღვინეთუხუცესის თანამდებობის მქონე ვინმე უცნობმა ფეოდალმა და სხვა.

გუზან ტაოსკარელთან ერთად, ხლათის სულთანთან იმყოფებოდა მისი ერთ-ერთი ვაჟი, თუმცა გუზანის მეუღლე და მისი მეორე შვილი კვლავინდებურად ქართველთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე რჩებოდნენ.

ხლათის სულთანმა გუზანის ოჯახის გამოსაყვანად და ციხეებში თურქული გარნიზონების ჩასაყენებლად საქართველოში ლაშქარი გამოგზავნა. სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდა გუზანის ვაჟიც.

თურქული საბრძოლო შენაერთების მოძრაობა კარგად შენიშნეს თამარის ერთგულმა ტაოელმა დიდებულებმა: ზაქარია ფანასკერტელმა, ძინიელებმა და კალმახელებმა.

მათ სახელდახელოდ შეკრიბეს მხედრობა და სადღაც მტკვრის სათავეებთან, კოლას პროვინციაში გადაელობნენ მოწინააღმდეგეს.

თურქები რიცხობრივად დიდად აღემატებოდნენ ქართველებს და თორმეტ საბრძოლო დრომას ფლობდნენ.

მიუხედავად ამისა, ზაქარია ფანასკერტელმა ჯიქურ მიიტანა იერიში თურქთა ლაშქარზე და ბრძოლის ველიდან გააქცია იგი.

გუზან ტაოსკარელის ოჯახი ქართველებს ჩაუვარდათ ხელთ.

ზაქარია ფანასკერტელი კოლაში მოპოვებული გამარჯვებით არ დაკმაყოფილდა, ტაოში დაბრუნდა და სულ მოკლე ხანში თურქებს გუზან ტაოელის მიერ გაცემული ყველა ციხე წაართვა.

ხლათის სულთნის მიერ მიტაცებული ტერიტორია კვლავინდებურად საქართველოს სამეფოს დაუბრუნდა.

გამარჯვებული ტაოელი დიდებულები ზაქარია ფანასკერტელის წინამდგომობით თბილისს ჩავიდნენ და თამარს წარუდგნენ.

რაც შეეხება თავად გუზან ტაოსკარელს, ის არც მოგვიანებით იშლიდა თავისას და ხლათის სულთნისაგან ზურგმომავრებული განუწყვეტლივ თავს ესხმოდა საქართველოს საზღვრისპირა რაიონებს.

ერთ-ერთი ასეთი მარბიელი ლაშქრობისას გუზან ტაოსკარელი მთიბავებმა შეიპყრეს კოლაში და დატყვევებული თბილისს გაგზავნეს.

დავით სოსლანი კარგად იცნობდა თამარის მოწყალე ბუნებას და შეეშინდა, მეფეს სხვა ამბოხებულების მსგავსად, გუზან ტაოსკარელიც არ შეეწყალებინა. ამიტომ აჩქარდა, განდგომილ დიდებულს თავად გამოუტანა განაჩენი და თვალების დაწვით დასაჯა.

1192 წელს ქვეყნიერებას მოევლინა თამარისა და დავით სოსლანის პირმშო ვაჟი – გიორგი ლაშა.

სამეფო ტახტის მემკვიდრის დაბადების აღსანიშნავად, 1193 წელს ქართველებმა მარბიელი ლაშქრობა მოაწყვეს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და რანის ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

სამხედრო ექსპედიცია, სავარაუდოდ, გაგიდან დაიწყო.

ქართულმა მხედრობამ თარეშით გაიარა თითქმის მთელი რანი, გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, უმოკლეს დროში აიღო ქალაქი ბარდავი*, ოცდაათი ათასი ტყვე წამოასხა საქართველოში და გამარჯვებული მოვიდა თბილისს.

თამარმა ჩვეული გულმოწყალება გამოიჩინა, ოცდაათიათასივე ტყვე უპირობოდ გაათავისუფლა და მშვიდობით დააბრუნა უკან, ბარდავში.

ბარდავის აღებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ქართველებმა კიდევ ერთი მარბიელი ლაშქრობა მოაწყვეს თურქთა წინააღმდეგ.

სამხედრო შენაერთები, ამჯერად სამხრეთ-დასავლეთისაკენ დაიძრნენ და უშუალოდ კარნუქალაქზე მიიტანეს იერიში.

საომარი მიმართულების პლაცდარმად, როგორც ჩანს, შერჩეული იყო ხლათის სულთნისათვის ახლად წართმეული ტაოს ტერიტორია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა შენაერთებმა სწრაფად გადალახეს საქართველოს საზღვარი და მოკლე ხანში კარნუქალაქის კედლებთან აღმოჩნდნენ, თურქებმა მაინც მოასწრეს საპასუხო ზომების მიღება და ქალაქის დასაცავად საკმაოდ მნიშვნელოვან ძალებს მოუყარეს თავი.

საკუთრივ კარნუქალაქში იდგა ადგილობრივ თურქთა მარავალრიცხოვანი გარნიზონი, რომელსაც მეთაურობდნენ ნასრ-ადინ სალდუხის ძე და მისი ორი ვაჟი.

ქალაქის შორიახლოს დაბანაკებულნი იყვნენ კარნუქალაქელთა დასახმარებლად მეზობელი პროვინციებიდან – ყარსიდან და სურმანიდან მოსული სამხედრო შენაერთები.

ქართველებმა კარნუქალაქზე შეტევა გამთენიისას დაიწყეს. სასტიკი ბრძოლა დაღამებამდე გაგრძელდა.

სიბნელის დადგომასთან ერთად, მოწინააღმდეგეებმა ბრძოლა შეწყვიტეს და თავდაპირველ პოზიციებს დაუბრუნდნენ.

კარნუქალაქში გამაგრებული მეომრები კოცონების ალით განათებულ ქართველთა ბანაკში მთელი ღამე ხედავდნენ საკუთარი ოჯახის დატყვევებულ წევრებს, თუმცა მათთვის დახმარების გაწევას ვერაფრით ახერხებდნენ.

გამთენიისას, საკუთარი უძლურებით გააფთრებულმა თურქებმა მთელი ლაშქარი გამოიყვანეს ქალაქიდან და იქვე, გალავნის წინ განალაგეს საბრძოლველად.

თურქთა ქვეით და ცხენოსან შენაერთებს ზურგს უმაგრებდნენ ქალაქის კედლებზე გადმოდგარი მეშურდულები და მშვილდოსნები, რომლებიც განუწყვეტლივ უშენდნენ ქვასა და ისარს მოწინააღმდეგეს.

თურქთა მოქმედების პარალელურად, საბრძოლო პოზიციები დაიკავეს ქართველებმაც და შეტევაზე გადასასვლელად მოემზადნენ.

ბრძოლა ქართულმა კავალერიამ დაიწყო. შუბშემართულმა ცხენოსნებმა დავით სოსლანის წინამბრძოლობით, ჯიქური იერიში მიიტანეს თურქთა რაზმებზე და ელვისებურად გაარღვიეს მათი რიგები.

მოწინავეებს დანარჩენი ქართული შენაერთებიც მიჰყვნენ.

თურქებმა ქართველთა მასირებულ იერიშს ვეღარ გაუძლეს, ბრძოლის ველი მიატოვეს და ქალაქის შესასვლელისაკენ გაიქცნენ.

გამარჯვებულმა დავით სოსლანმა აღარ გააგრძელა კარნუქალაქზე იერიშები, დაუბრკოლებლად მოითარეშა ქალაქის მიდამოები, საქართველოში მრავალი ტყვე წამოიყვანა და დიდი ალაფით წარუდგა თამარს.

ამავე 1193 წელს, კარნუქალაქის წინააღმდეგ მოწყობილი წარმატებული ლაშქრობის შემდეგ ქართველებმა ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გადაწყვიტეს სამხედრო ექსპედიციის მოწყობა.

ამჯერად, ლაშქრობა, სავარაუდოდ, ლორედან დაიწყო.

თავდაპირველად ქართული მხედრობა სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოძრაობდა.

მათ თარეშით გაიარეს თურქთა კონტროლის ქვეშ მყოფი გელაქუნი და ძველი ალბანური პროვინციები – ხაჩინი* და ყარყარი*.

აქედან, ლაშქრობის მიმართულება შეცვალეს, არაქსის მარცხენა ნაპირის დაყოლებაზე, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ, ბაილაცანის მიდამოები დაარბიეს, უკან გამობრუნდნენ და რანის გავლით საქართველოსაკენ წამოვიდნენ.

ქართველებმა ყარყარიდან საქართველოს საზღვრის ახლოს მდებარე ციხე-ქალაქ შამქორამდე* მოსვლას ექვსი დღე მოანდომეს და ამ ექვსი დღიდან ერთი

დღეც კი არ გასულა ისე, რომ ქართველებს ბრძოლა არ გადაეხადათ თურქებთან.

განსაკუთრებით სასტიკი იყო ქალაქ განძის კედლებთან მომხდარი შეტაკება. ყველა ამ ბრძოლაში გამარჯვება ქართველებს დარჩათ და ისინიც ძღვევამოსილი მივიდნენ თბილისს, თამარის წინაშე.

მომდევნო, 1194 წელს ქართველებმა მარბიელი ლაშქრობა ახლა უკვე სამხრეთის მირთულებით მოაწყვეს.

სამხედრო ექსპედიცია ამჯერადაც ლორედან დაიწყო. მას ძმები – ამირსპასალარი ზაქარია და მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელები ხელმძღვანელობდნენ.

ლაშქრობის მიზანი იყო არაქსის მარცხენა ნაპირის მოთარეშება და ამ რეგიონში თურქთა კონტროლის შესუსტება.

მხარგრძელებმა საქართველოს საზღვარი გადაკვეთეს და არაქსის მარცხენა ნაპირისაკენ დაიძრნენ, თუმცა გზად მოულოდნელად გადაეყარნენ თურქთა რაზმებს, რომლებიც, პირიქით, ჩრდილოეთისაკენ მოდიოდნენ და საქართველოს მოთარეშებას აპირებდნენ.

თურქთა ლაშქარი ძველი სომხური ციხე-ქალაქებიდან – დვინიდან, ბიჯნისიდან* და ამბერდიდან* გამოყვანილი საბრძოლო დანაყოფებისაგან შედგებოდა.

ერთმანეთის პირისპირ აღმოჩენილ თურქებსა და ქართველებს შორის სასტიკი ბრძოლა გაიმართა და მხარგრძელთა გამარჯვებით დასრულდა.

ქართველებმა ლაშქრობა გააგრძელეს, საქართველოში დიდი ალაფით დაბრუნდნენ, თბილისს ჩავიდნენ და გამარჯვებულები წარუდგნენ თამარს.

იმავე 1194 წელს მსახურთუხუცესმა, ივანე მხარგრძელმა საქართველოს სამეფო კარს სამხრეთის მიმართულებით, ახალი დიდი სამხედრო ექსპედიციის ორგანიზება შესათავაზა.

გეგმის თანახმად, ქართველებს თარეშით უნდა გაევლოთ გელაქუნი, მისულიყვნენ ნახიჩევანს, აეღოთ არაქსის მარცხენა ნაპირზე მდებარე ქალაქი სპარსი-ბაზარი* და დაერბიათ მისი მიდამოები.

ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობამ ივანე მხარგრძელის გეგმა მოიწონა. ლაშქრობას სათავეში პირადად ჩაუდგა დავით სოსლანი.

ქართველებმა სწრაფად დაარბიეს გელაქუნში დამკვიდრებული თურქმანები, შეიჭრნენ ნახიჩევანში და იერიშით აიღეს ქალაქი სპარსი-ბაზარი.

თურქებმა წინააღმდეგობის გაწევა რამდენიმეჯერ სცადეს, მაგრამ – უშედეგოდ, დავით სოსლანმა ყველა შეტაკებაში დაამარცხა მოწინააღმდეგე.

ამ მრავალრიცხოვანი გამარჯვებების აღსანიშნავად, ქართულმა მხედრობამ პირდაპირ სპარსი-ბაზრის ტერიტორიაზე, თურქი სულთნისათვის განკუთვნილ მოედანზე გამართა სამხედრო თამაშობა.

ქართველებმა ლაშქრობის შედეგად უზარმაზარი ალაფი მოიპოვეს და თბილისს, თამარის წინაშე მივიდნენ.

ქართველთა ლაშქრობებით შეწუხებულმა ირანის აზერბაიჯანის* ათაბაგმა,* აბუ ბაქრმა გადაწყვიტა, თამარის დასასუსტებლად ქვეყანაში ახალი შიდაარეულობა გამოეწვია და ამ მიზნით, გიორგი ბოგოლუბსკის დაუკავშირდა.

მეფე-ყოფილი ირანში ჩავიდა, აქედან, აბუ ბაქრის ბრძანებით, განძას გამოემგზავრა, რანის ლაშქარს სათავეში ჩაუდგა, 1194 წელს მტკვარი გადმოლახა და საქართველოს ფარგლებში შემოიჭრა.

გიორგი ბოგოლუბსკი, თავდაპირველად კამბეჩოვანში მივიდა და მიმდებარე ტერიტორიის დარბევას შეუდგა.

რანის ლაშქრის თავდასხმის ამბავი პირველმა ციხე-ქალაქ ხორნაბუჯის პატრონმა საღირ მახატლისძემ შეიტყო, დამხმარე ლაშქარს აღარ დაელოდა და საკუთარი რაზმებით გიორგი ბოგოლუბსკის წინააღმდეგ დაიძრა.

საღირ მახატლისძესთან ერთად იყო მისი სამი ვაჟიც.

მიუხედავად იმისა, რომ თურქები რიცხობრივად ათჯერ აღმატებოდნენ ქართველებს, საღირ მახატლისძემ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და თავგანწირული იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე.

რანის ლაშქარი ასეთ ჯიქურ შეტევას არ ელოდებოდა და დამარცხდა.

ქართველები კვალდაკვალ მიჰყვნენ უკან დახეულ მტერს და მრავალი მათგანი ტყვედ შეიპყრეს.

გიორგი ბოგოლუბსკის შეპყრობა ვერ მოხერხდა და მან გაქცევით უშველა თავს.

დაახლოებით ამავე პერიოდში სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა.

საქართველოში მოვიდა ირანის აზერბაიჯანის უფლისწული ამირ მირმანი და თამარს ძმის, ათაბაგ აბუ ბაქრის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების გაწევა სთხოვა.

ამირ მირმანსა და საქართველოს სამეფო კარს შორის შუამავლის როლს შირვანის შაჰი, ამირ მირმანის სიმამრი, აღსართან I ასრულებდა.

ვითარება შემდეგი იყო: აბუ ბაქრმა ათაბაგობა ძალით წაართვა უფროს ძმას, ხუტლუ ინანჩს და უმცროს ძმას, ამირ მირმანს დევნა დაუწყო.

ამირ მირმანმა თავი სიმამრს, შირვანის შაჰს, აღსართან I-ს შეაფარა. აბუ ბაქრმა უმცროსი ძმის წინააღმდეგ გაილაშქრა და სიძე-სიმამრის გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხა.

ამას დაერთო შირვანში მომხდარი საშინელი მიწისძვრა, რომლის დროსაც ქალაქი შამახა მთლიანად განადგურდა, აღსართან I-ის მეუღლე და შვილები კი ნანგრევებში დაიღუპნენ.

ყოველმხრივ შევიწროებულ ამირ მირმანსა და აღსართან I-ს მეტი გზა აღარ დარჩათ და დახმარებისათვის საქართველოს სამეფო კარს მიმართეს.

თბილისს მოსული მაჰმადიანი სიძე-სიმამრი თამარს სამხედრო დახმარების გაწევას, აბუ ბაქრის დამარცხებასა და ამირ მირმანის ათაბაგის ტახტზე აყვანას სთხოვდნენ.

თამარმა გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და ამირ მირმანს დახმარება აღუთქვა.

ამასობაში თბილისს ამბავი მოვიდა, რომ აბუ ბაქრი რანს იყო მოსული და ქართველების წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად ემზადებოდა.

მას თან ჰქონდა ბაღდადის ხალიფას მიერ გამოგზავნილი დროშა, ნიშანი მაჰმადიანთა საყოველთაო მხარდაჭერისა.

აბუ ბაქრის მრავალრიცხოვანი არმია კოალიციური ხასიათისა იყო.

ხალიფას დროშის ქვეშ იდგნენ არა მხოლოდ ირანიდან მოყვანილი სამხედრო შენაერთები, არამედ სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან მოსულ თურქთა საბრძოლო დანაყოფებიც.

საქართველოს სამეფო კარი აბუ ბაქრის რანში მოსვლას სრულ მზადყოფნაში დახვდა.

თამარმა ლაშქარი მთელი საქართველოდან შეკრიბა: ჰერეთიდან, კახეთიდან, ქართლიდან, მესხეთიდან, თორიდან, შავშეთიდან, კლარჯეთიდან, ტაოიდან, სომხეთიდან, აფხაზეთიდან, სვანეთიდან, ოდიშიდან, გურიიდან, რაჭიდან, თაკვერიდან, მარგვეთიდან და სხვა.

თამარის ლაშქარში იყვნენ ოსთა რაზმები და ყივჩაღეთიდან ქირით მოყვანილი საბრძოლო დანაყოფები.

ქართული სამხედრო შენაერთები თბილისის სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდინარეების – ალგეთის, ქციისა და დებედას ქვემო წელზე დაბანაკდნენ.

ლაშქარს სათავეში ჩაუდგა დავით სოსლანი. მასთან იყო სახელოვანი გორგასლიან-დავითიანი დროშაც.

სამხედრო ექსპედიციაში უშუალო მონაწილეობას იღებდა ქვეყნის პირველი მინისტრი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ანტონ გლონისთავისძე, რომელიც ჯვრით ხელში წინ უძღვოდა ლაშქარს.

ქართული სამხედრო შენაერთები მტკვრის მარჯვენა ნაპირს ქვემოთ, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაუყვნენ.

ლაშქარმა საქართველოს საზღვარი გადალახა და 1195 წლის 1 ივნისს ციხე-ქალაქ შამქორის მახლობლად დაბანაკდა.

უშუალოდ შამქორის კედლებთან იყო დაბანაკებული აბუ ბაქრის ლაშქარიც.

2 ივნისის, გამთენიისას დავით სოსლანმა ქართული საბრძოლო დანაყოფები ისე განალაგა, რომ ლაშქრის მარცხენა კიდე შამქორის ველის ჩრდილოეთით მდებარე მტკვარს მიაღწია, მარჯვენა კიდე კი – შამქორის ველის სამხრეთით აღმართულ მთას.

იერიში ქართველებმა დაიწყეს. დავით სოსლანმა ლაშქარი შუაზე გაჰყო.

აქედან, პირველი დაჯგუფების ამოცანა იყო ციხე-ქალაქ შამქორზე ცრუ იერიშის დაწყება, მოწინააღმდეგის ყურადღების მიპყრობა, მისი ძირითადი ძალების ამ მიმართულებით კონცენტრირება, ბრძოლის მაქსიმალურად გაჭიანურება, ბოლოს კი, მეორე დაჯგუფებასთან ერთად, გადამწყვეტი იერიშის მიტანა აბუ ბაქრზე.

განსხვავებული ამოცანა ჰქონდა მეორე დაჯგუფებას, რომელიც საერთოდ უნდა გარიდებოდა პირველი დაჯგუფების ბრძოლის ადგილს, ფლანგიდან ან ზურგიდან მოევლო ციხე-ქალაქისათვის და მაშინ, როცა აბუ ბაქრის ძალები

მთლიანად ქართველთა პირველი დაჯგუფების წინააღმდეგ იქნებოდა კონცენტრირებული, მეორე მხრიდან დასხმოდა მტერს.

გეგმის თანახმად, პირველმა დაჯგუფებამ ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის მეთაურობით, პირდაპირ ციხე-ქალაქ შამქორისაკენ აიღო გეზი, მის კედლებთან ახლოს დაიკავა პოზიცია და კარიბჭეზე იერიშის მიტანა წინამბრძოლ რაზმს დაავალა.

მოიერიშე დანაყოფს სათავეში ჩაუდგა ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელი.

ციხე-ქალაქის შესასვლელთან სისხლისმღვრელი შეტაკება დაიწყო.

ამასობაში, ქართველთა მეორე დაჯგუფებამ, რომელსაც უშუალოდ დავით სოსლანი ხელმძღვანელობდა, მოხერხებული მანევრი განახორციელა, ციხე-ქალაქ შამქორს შორიდან მოუარა ისე, რომ ეს უკანასკნელი ქართულ მხედრობას ხელმარჯვნივ დარჩა, გადალახა მდინარე შამქორის წყალი, შემდეგ მკვეთრად შემობრუნდა და ციხე-ქალაქისაკენ გაიჭრა.

ქართველთა მიერ დასახული გეგმა თავდაპირველად წარმატებით ხორციელდებოდა, თუმცა შემდეგ ერთი გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა: დავით სოსლანის სამხედრო შენაერთებმა მთაგორიანი და ქვალორდიანი რელიეფის გამო, ციხე-ქალაქისაკენ სწრაფი გადაადგილება ვერ მოახერხეს და ამ მონაკვეთის გავლას იმაზე ბევრად დიდი დრო მოანდომეს, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული.

დავით სოსლანის გაუთვალისწინებელმა დაყოვნებამ კინალამ მთელი ბრძოლის ბედი გადაწყვიტა.

ზაქარია მხარგრძელის მიერ ციხე-ქალაქის კარიბჭესთან გაგზავნილი წინამბრძოლი რაზმი თანდათანობით დაიღალა, დანაყოფის მეთაურს ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელს ცხენი მოუკლეს, მის მხარდამხარ მებრძოლი დიდებულების უმრავლესობამ კი, ჭრილობა მიიღო.

წინამბრძოლი რაზმი განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მაშინ ზაქარია მხარგრძელმა ძმასთან, მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელთან ერთად, გადაწყვიტა, აღარ დალოდებოდა დავით სოსლანის შენაერთების გამოჩენას და საკუთარი დანაყოფებით ჩაბმულიყო ბრძოლაში.

სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში, მხარგრძელებმა შორიდან შენიშნეს, რომ დავით სოსლანის შენაერთებს უკვე გადალახული ჰქონდათ გზის ძნელად სავალი მონაკვეთი და ბრძოლის ველისაკენ მოიჩქაროდნენ.

მათ წინ ამაყად მოფრიალებდა მრავალმგამოვლილი გორგასლიან-დავითიანი დროშა.

მხარგრძელებმა სწრაფად შეაფასეს შექმნილი ვითარება და დაუყოვნებლივ გადავიდნენ შეტევაზე.

აბუ ბაქრის ლაშქრის ერთმა ნაწილმა ქართველთა იერიშს ვერ გაუძლო, პოზიციები მიატოვა და უკანდახევა დაიწყო.

თუმცა, ათაბაგის სამხედრო შენაერთების მეორე ნაწილი კვლავინდებურად ინარჩუნებდა საბრძოლო პოზიციებს და მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მხარგრძელებს.

ბრძოლა დიდხანს აღარ გაგრძელდებულა.

მალე ციხე-ქალაქის კედლებთან დავით სოსლანის შენაერთებიც გამოჩნდნენ და გადაწყვეტი იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე.

ქართული მხედრობის უეცარმა გამოჩენამ აბუ ბაქრის ლაშქარს თავზარი დასცა. მათ საერთოდ შეწყვიტეს წინააღმდეგობის გაწევა და უწესრიგოდ გაიქცნენ ბრძოლის ველიდან.

თავს გაქცევით უშველა აბუ ბაქრმაც, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა დატყვევებას.

სამაგიეროდ ქართულ მხედრობას ხელთ ჩაუვარდა ხალიფის მიერ გამოგზავნილი დროშა, რომელიც მისმა ახალმა მფლობელმა შალვა ახალციხელმა გელათის მონასტერს შესწირა.

გამარჯვებული ქართველები ორ ნაწილად გაიყვნენ.

ერთი ნაწილი ირანის აზერბაიჯანში შეიჭრა და მაჰმადიანთა წესის შესაბამისად, სამი დიდი ქალაქი გაძარცვა: ერთი – აბუ ბაქრის კუთვნილი, მეორე – აბუ ბაქრის ვაჟის, ხოლო მესამე – აზერბაიჯანელი დიდებულის, სათმაზ ეზდინის ძისა.

ქართული მხედრობის მეორე ნაწილი მოწინააღმდეგის ღვენი დასრულების შემდეგ უკან, შამქორის ველზე დაბრუნდა და აბუ ბაქრის ლაშქრის ნაბანაკარზე გაათია ღამე.

მათ შორის იყო დავით სოსლანიც, რომელსაც ბრძოლის ადგილას ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ანტონ გლონისთავისძე დახვდა.

ამ უკანასკნელს, როგორც სასულიერო პირს, სისხლისღვრაში მონაწილეობა არ მიუღია და მხოლოდ ზურგიდან ადევნებდა თვალს საბრძოლო მოქმედებებს.

ქართველებთან ერთად შამქორის კედლებთან ღამე გაათიეს ამირ მირმანმა და აღსართან I-მაც.

მეორე დღეს, 3 ივნისის, დილას შამქორის მოსახლეობამ დავით სოსლანს ქალაქის გასაღები მიართვა.

ქართველებს დანებდნენ შამქორის ახლომდებარე ციხეებიცა და ქალაქებიც.

დავით სოსლანმა დამორჩილებული ქალაქები ამირ მირმანს გადასცა.

ქართული მხედრობა შამქორიდან ქალაქ განძისაკენ დაიძრა.

ქალაქის მისადგომებთან ადგილობრივი არისტოკრატია წინ მიეგება დავით სოსლანს და განძის გასაღები გადასცა. მეფე ქალაქში შევიდა და სულთნის ტახტზე დაჯდა.

სულთნისავე სასახლეში ქართველებმა დიდი ღვინი გადაიხადეს. საპატიო ადგილები დაიკავეს ამირ მირმანმა და აღსართან I-მა. დადგენილი იერარქიული თანამიმდევრობით დასხდნენ ქართველი მოხელეებიც: მანდატურთუხუცესი ჭიაბერი, ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი და სხვანი.

დავით სოსლანმა სახელოვანი გამარჯვების მაცნედ საქართველოში მანდატურთუხუცესი ჭიაბერი გამოგზავნა.

ეს უკანასკნელი ტაბახმელის საზაფხულო რეზიდენციაში ეახლა თამარს და სასახარულო ამბავი იქ აუწყა მეფეს.

მალე საქართველოში დანარჩენი ქართული მხედრობაც დაბრუნდა და თან უზარმაზარი ალაფი მოიტანა: თორმეტი ათასი ტყვე, ორმოცი ავაზა, ოცი ათასი ცხენი, შვიდი ათასი ჯორი, თხუთმეტი ათასი აქლემი, მრავალი დროშა, აურაცხელი განძეული და სხვა.

დავით სოსლანმა დამორჩილებული განძა და მთლიანად რანი ამირ მირმანს გადასცა.

ქართველების რანიდან წასვლის შემდეგ ნახჭევანში გახიზნულმა აბუ ბაქრმა ამირ მირმანს მკვლელი მიუგზავნა და მოაწამვლინა.

უმცროსი ძმის მოკვლის შემდეგ აბუ ბაქრმა მმართველის გარეშე დარჩენილ რანში ლაშქარი გაგზავნა, ამირ მირმანის ერთგული მოხელეები დაახოცინა და განძაზე საკუთარი კონტროლი დაამყარა.

ამირ მირმანის მოკვლის ამბის შეტყობისთანავე ქართველთა სამხედრო შენაერთები განძისაკენ დაიძრნენ.

აბუ ბაქრმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო.

მაშინ შემინებული რანელი დიდებულები წინ მიეგებნენ შამქორთან მისულ დავით სოსლანს და ფიცით აღუთქვეს აბუ ბაქრისადმი დაუმორჩილებლობა.

ქართველებმა ერთგულების ფიცი იკმარეს, უკან გაბრუნდნენ, თან წაიყვანეს პატრონის გარეშე დარჩენილი ამირ მირმანის მრავალრიცხოვანი ამალა და პატივით ისტუმრეს საქართველოში.

ვერაგულად მოკლული ამირ მირმანი დიდი მწუხარებით დაიტირა თამარმა.

შამქორის ომის მოგების შემდეგ ქართველები თურქთა წინააღმდეგ ახალი მარბიელი ლაშქრობების ორგანიზებას შეუდგნენ.

ერთ-ერთი პირველი სამხედრო ოპერაცია მსახურთუხუცესმა ივანე მხარგრძელმა ჩაატარა.

ის მცირე ლაშქრით გელაქუნს მივიდა და ჩასაფრდა.

ცოტა ხანში ქართველებმა შენიშნეს, რომ განძიდან სურმანისაკენ თურქთა დიდი ლაშქარი მიემართებოდა.

აქ იყვნენ: ღვინის მფლობელი ბალშანი, სურმანის პატრონის ძმა, სურმანელთა სამხედრო შენაერთებით, ცნობილი სარდალი ალი შურიშამი და სხვები.

მიუხედავად იმისა, რომ რიცხოვნობივად თურქები ქართველებს ათეზის მაინც აღემატებოდნენ, ივანე მხარგრძელმა მოწინააღმდეგეზე თავდასხმა გადაწყვიტა.

ქართველებმა თურქებს მოულოდნელად შეუტოეს, ისარგებლეს მოწინააღმდეგის დაბნეულობით და მთლიანად გაანადგურეს მათი საბრძოლო დანაყოფები.

იერიშისას განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა ივანე მხარგრძელმა, რომელმაც რამდენიმე თურქი მოკლა, ხოლო ოთხი მეომარი ტყვედ შეიპყრო.

ქართველები თბილისს ჩავიდნენ და გამარჯვებული ეახლნენ თამარს.

ამასობაში რანში ისევ გაჩნდა ანტიქართული მოძრაობის ნიშნები.

დავით სოსლანმა მთელი საქართველოდან შეჰყარა ლაშქარი და განძას მიაღწა.

ქართულ მხედრობას გზად შეუერთდნენ შარვანის შაჰი ალსართან I და მისი რაზმები.

ქართველებს ოცდახუთი დღის მანძილზე ალყა ჰქონდათ შემორტყმული ქალაქისათვის.

ბოლოს განძელები დანებდნენ და დავით სოსლანს ქალაქის აოხრებისაგან გადარჩენის მიზნით, ხარაჯა* გადაუხადეს. ქართველებს ხარაჯა მისცეს რანის სხვა ქალაქებმაც.

დავით სოსლანმა მთელი რანი მოითარეშა, დიდი ალაფით დაბრუნდა უკან და კოჯრის ციხეში ეახლა თამარს.

დავით სოსლანის რანში ლაშქრობის პარალელურად, სამხედრო ექსპედიცია მოაწყო მსახურთუხუცესმა, ივანე მხარგრძელმაც. ის მრავალრიცხოვანი საბრძოლო დანაყოფებით გელაქუნის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაიჭრა და მთელი ხაჩენის პროვინცია დაარბია. ქართველებმა ხაჩენის თურქი დიდებულები ტყვედ წამოიყვანეს და უზარმაზარ ალაფთან ერთად, კოჯრის ციხეში ეახლნენ თამარს.

XIII საუკუნის დასაწყისისათვის, ქართველთა მიერ წარმოებულმა მრავალრიცხოვანმა მარბიელმა ლაშქრობებმა უდიდესი შედეგი გამოიღო და თურქებმა მთელ რიგ ძველ სომხურ პროვინციებზე კონტროლი დაკარგეს.

თურქთათვის წართმეულ ტერიტორიებზე საქართველოს სახელმწიფო იურისდიქცია გავრცელდა.

შედეგად, ქვეყნის სამხრეთმა საზღვარმა გაცილებით უფრო სამხრეთისაკენ გადაიწია და მდინარე არაქსზე დაიდო, ბასიანში კი, არაქსის მარჯვენა ნაპირიც მოიცვა. საქართველოს შემოუერთდა შემდეგი ტერიტორიები: ქალაქი ანისი* და შირაკი*, ქალაქი დვინი და აირარატი*, ბიჯნისი, ამბერდი, გელაქუნი, ხაჩენი, კარნიფორი, ბასიანი, და სხვა.

ქართველთა მიერ სამხრეთ კავკასიაში მოპოვებულმა წარმატებებმა მთელი თურქული სამყარო შეაშფოთა და მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანმა მმართველებმაც საპასუხო ღონისძიებების გატარებაზე დაიწყეს ფიქრი.

1203 წელს ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო რუმის* სულთანმა რუქნ აღ-დინმა და აღმოსავლეთ ანატოლიაში ოთხასათასიანი ლაშქარი შეკრიბა. სამხედრო ექსპედიციის დაწყებამდე სულთანმა თამარს წერილი მისწერა, მუჰამედის სახელით საქართველოს ომი გამოუცხადა და მისი ლაშქრის განადგურება უწინასწარმეტყველა.

თამარი რუქნ აღ-დინის გამოწვევას მშვიდად შეხვდა, თურქებთან შებრძოლების გადაწყვეტილება მიიღო, საპასუხო წერილით კი მოწინააღმდეგეს ამცნო, რომ მთლიანად უფლის ნებას იყო მინდობილი და გამარჯვების მოპოვებასაც სწორედ უფლის შემწეობით აპირებდა.

საპასუხო წერილის გადაცემისას თურქი მოციქული თამართან წარადგინეს. ამ უკანასკნელმა ელჩისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა და თამარს შეჰკადრა, თუ ქართველთა დამარცხების შემდეგ ქრისტიანობას უარყოფ, მაშინ რუქნ აღ-დინი ცოლად შეგირთავს, ხოლო თუ რჯულს არ შეიცვლი, მაშინ სულთანი ხარჭად დაგისვამსო.

გაკადნიერებულ მოციქულს ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა ხელი შემოჰკრა და უგონოდ დასცა.

როცა თურქი გონს მოეგო, ამირსპასალარმა თამარის საპასუხო წერილი გადასცა და განუმარტა, ელჩი რომ არ იყო, მეფის შეურაცხყოფისათვის ჯერ ენის, შემდეგ კი თავის მოკვეთის ღირსი იქნებოდი, ახლა წაუღე წერილი სულთანს და აუწყე, რომ ბრძოლისთვის მზად ვართ და ჩვენს შორის მართალი უფალმა გამოაჩინოსო.

მოციქულის უკან გაგზავნის შემდეგ თამარმა მთელი სამხედრო ძალების თავშეყრა ბრძანა. სამხედრო შენაერთები საქართველოს ყველა კუთხიდან მოვიდნენ. ლაშქარი თავდაპირველად ჯავახეთს დაბანაკდა.

სამხედრო შენაერთებს სათავეში პირადად დავით სოსლანი ჩაუდგა. მასთან ერთდ ლაშქარს მეთაურობდნენ: ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, მანდატურთუხუცესი შალვა ახალციხელი, მისი ძმა, ივანე ახალციხელი და სხვანი.

სამხედრო შენაერთების ბრძოლის ველზე გაგზავნისთანავე თამარი ვარძიას მივიდა და ვარძიის ღმრთისმშობელს ქართული მხედრობის გამარჯვებას შეევედრა. აქედან, მეფე ციხე-ქალაქ ოძრნეში მივიდა და საქართველოს გამარჯვებისათვის დღითა და ღამით დაუცხრომელ ლოცვას შეუდგა.

ამასობაში რუქნ ად-დინის ლაშქარი ბასიანის პროვინციაში მოვიდა და ბოლოსციხესთან დაბანაკდა.

მცირე ხნის შემდეგ ბოლოსციხეს ქართული სამხედრო შენაერთებიც მიუახლოვდნენ.

თურქები საკუთარი მრავალრიცხოვანობის იმედად იყვნენ და ქართველთა გამოჩენისას მაინცადამაინც არ შემფოთებულან.

დავით სოსლანმა კარგად გამოიყენა მიწინააღმდეგის დაუდევრობა და მოულოდნელი იერიშის გადაწყვეტილება მიიღო.

ქართველებმა სამხედრო შენაერთები საბრძოლველად განალაგეს. მეწინავე რაზმს სათავეში ჩაუდგნენ: ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, მანდატურთუხუცესი შალვა ახალციხელი, ივანე ახალციხელი, თორელთა ფეოდალური სახლის წევრები და სხვა.

ლაშქრის ფლანგებზე განლაგდნენ: ერთ მხარეს – დასავლეთ საქართველოდან მოსული სამხედრო შენაერთები, ხოლო მეორე მხარეს – აღმოსავლეთ საქართველოდან გამოყვანილი საბრძოლო დანაყოფები.

ლაშქრის საბრძოლველად განლაგების შემდეგ დავით სოსლანი მოწინააღმდეგისაკენ უჩუმრად დაიძრა.

თურქმა გუშაგებმა მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს ქართველების მოძრაობა, როცა ისინი ძალზე ახლოს მივიდნენ რუქნ ად-დინის ბანაკთან. თურქებმა განგაში ატეხეს, სასწრაფოდ მოემზადნენ ბრძოლისათვის და სამხედრო დანაყოფები ბანაკის წინ განალაგეს.

ბრძოლა ქართველთა და თურქთა წინამბრძოლი რაზმების ორმხრივი იერიშებით დაიწყო. ამის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა მთელი დანარჩენი ძალებიც ჩართეს ბრძოლაში.

თავდაპირველად უპირატესობა ქართველების მხარეს იყო. მათ ბრძოლის დაწყებისთანავე შეავიწროვეს მტერი და დიდი ზიანიც მიაყენეს მას, თუმცა, რიცხობრივმა უპირატესობამ თანდათანობით თავისი გაიტანა და უპირატესობას უკვე თურქები დაეუფლნენ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მოწინააღმდეგის განლაგებაში ღრმად შეჭრილი ქართველთა წინამბრძოლი რაზმი. თურქებმა ცხენები დაუხოცეს ამ რაზმის მეთაურებს: მანდატურთუხუცეს შალვა ახალციხელს, მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელს, ივანე ახალციხელს, ზაქარია გაგელს, თაყაიადინ თმოგველსა და სხვებს.

მოწინააღმდეგის განლაგებაში ღრმად შეჭრილ და ცხენების გარეშე დარჩენილ ქართულ სამხედრო ელიტას უეჭველი დაღუპვის საფრთხე დაემუქრა.

კატასტროფული მდგომარეობა მცირე ხნით გამოასწორა წინამბრძოლი რაზმის დანარჩენი მეომრების თავგანწირვამ. ისინი ცხენებიდან ჩამოხდნენ, მეთაურების მხარდამხარ, ქვეითად გააგრძელეს ბრძოლა და ცხენდაცხენ გაქცევას სახელოვანი სიკვდილი ამჯობინეს.

არანაკლებად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქართული ლაშქრის სხვა შენაერთებიც. ისინი ველარ უძლებდნენ მრავალრიცხოვან თურქთა დაწოლას და ნელ-ნელა ტოვებდნენ პოზიციებს. ბრძოლა, პრაქტიკულად, წაგებული იყო.

სწორედ ამ დროს, ქართული კავალერიის ორმა დანაყოფმა ერთდროულად განახორციელა სამხედრო მანევრი, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი. ერთ-ერთმა ცხენოსანმა რაზმმა დავით სოსლანის მეთაურობით, ხელმარცხნივ აიღო გეზი, გასცდა ქართველთა განლაგებას, შორიდან მოუარა ხელჩართული ბრძოლის ხაზს და ჯიქური იერიში მიიტანა თურქთა ლაშქრის მარჯვენა ფრთაზე.

ზუსტად იგივე ხერხს მიმართა ქართული კავალერიის მეორე დანაყოფმა, რომელსაც ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი მეთაურობდა. ეს რაზმი მარჯვნიდან გასცდა ქართველთა განლაგებას და იერიში რუქნ აღ-დინის ლაშქრის მარცხენა ფრთაზე მიიტანა.

თურქებმა ორმხრივ შეტევას ველარ გაუძლეს, ბრძოლის ველი მიატოვეს და უწესრიგოდ გაიქცნენ. ქართველები კვალდაკვალ მიჰყვნენ რუქნ აღ-დინის მეომრებს, მრავალი მათგანი დახოცეს, მრავალი კი, ტყვედ შეიპყრეს. თურქთა დევნა დაღამებამდე გაგრძელდა, მთელი მათი ბანაკი და აურაცხელი ალაფი კი ქართველებს ჩაუვარდათ ხელთ.

ბასიანის ომი ქართული მხედრობის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა.

რუქნ აღ-დინის კოალიციური ლაშქრის დამარცხების შემდეგ საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა და ამ რეგიონში საბოლოოდ განიმტკიცა ჰეგემონობა.

დაახლოებით ამავე პერიოდში არანაკლებ საინტერესო მოვლენები განვითარდა საქართველოს დასავლეთ საზღვრებთანაც.

ყველაფერი 1203 წელს დაიწყო, როცა ბიზანტიის იმპერატორი ალექსი III თავს დაესხა სამშობლოდან მომავალ ქართველ სასულიერო პირთა ჯგუფს და თამარის მიერ ბოძებული ძვირფასი საჩუქრები წაართვა მათ.

საქართველოს სამეფო კარმა ალექსი III-ის საქციელი შეურაცხყოფად აღიქვა, ლაშქარი შეკრიბა და 1204 წელს ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებზე, უფრო ზუსტად კი, ტრაპიზონის რეგიონზე მიიტანა იერიში.

ქართველებმა სამხედრო ოპერაცია წარმატებით განახორციელეს და უმოკლეს დროში დაიკავეს ქართველური ტომებით – ლაზებით დასახლებული მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი. თამარმა ქართული მხედრობის მიერ დაკავებული რეგიონი საერთოდ ჩამოაჭრა ბიზანტიის იმპერიას და ამ ტერიტორიაზე ახალი პოლიტიკური ერთეული – ტრაპიზონის იმპერია დააარსა.

ტრაპიზონის იმპერიას სათავეში ჩაუდგა ცნობილი ბიზანტიური საიმპერატორო გვარის წარმომადგენელი – ალექსი I კომნენოსი, რომელიც თამარს ნათესავად ერგებოდა.

შედეგად, საქართველოს სამეფოს დასავლეთ საზღვართან ჩამოყალიბდა საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ვასალურ დამოკიდებულებაში იყო თამარის კართან და მის ერთგულ მოკავშირეს წარმოადგენდა.

1206 წელს ქართველებმა თურქთა წინააღმდეგ ლაშქრობები განაახლეს და ახლა ყარსზე მიიტანეს იერიში. ქართული მხედრობის მიახლოებისთანავე თურქებმა ქალაქი დატოვეს და გაიქცნენ. დავით სოსლანმა ყარსი ივანე ახალციხელს გადასცა. ახალმა მმართველმა ყარსი ერთგვარ სამხედრო პლაცდარმად აქცია და განუწყვეტელი იერიშების შედეგად, თურქებს მთელი ყარსის პროვინცია წაართვა. დავით სოსლანმა ეს ტერიტორიებიც ივანე ახალციხელს გადასცა.

ყარსის აღებიდან სულ მოკლე ხანში, 1207 წელს გარდაიცვალა დავით სოსლანი. მისი გარდაცვალებისთანავე მაჰმადიანური გაერთიანებები ისევ გააქტიურდნენ და ქართველთა წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ექსპედიციების ორგანიზებას შეუდგნენ.

პირველი ლაშქრობა საქართველოში არდებილის* სულთანმა მოაწყო. მისი სამხედრო ექსპედიციის მიზანი ქალაქი ანისის აღება და ადგილობრივი ქრისტიანების გაჟლეტა იყო. ამავე მიზნით, საგანგებოდ შეირჩა ქრისტიანთა უდიდესი დღესასწაული – აღდგომა დღე.

1208 წლის დიდმარხვის ვნების კვირაში არდებილის სულთანი არაქსის ხეობას აღმა აუყვავა, გზად ძარცვა-რბევისაგან თავი შეიკავა, უჩუმრად მიადგა ქალაქ ანისს და მის კარიბჭესთან ჩასაფრდა.

აღდგომა დილას ქალაქის მცველებმა წესისამებრ გახსნეს ანისის კარიბჭე. სულთნის კავალერია ქალაქში შეიჭრა და ანისი უბრძოლველად აიღო. თავდამსხმელებმა ქრისტიანების დევნა და ხოცვა-ჟლეტა დაიწყეს. მოსახლეობის ერთი ნაწილი პირდაპირ ქუჩებსა და სახლებში დახოცეს, მეორე ნაწილი – თორმეტი ათასი ქრისტიანი კი, ქალაქის ეკლესიებში ცხვარივით დაკლეს. სიკვდილს მხოლოდ ანისელთა მცირე ნაწილი გადაურჩა. მათ ქალაქის მიმდებარე გამოქვაბულებსა და კლდის ნაპრალებს შეაფარეს თავი.

სულთანმა ქალაქიდან დიდი ალაფი წაიღო და უკან, არდებილში დაბრუნდა. ანისის აღების ამბავი თამარმა გეგუთის სასახლეში ყოფნის დროს შეიტყო.

მეფესთან ერთად იყვნენ ანისის პატრონი, ამირსპასალარი ზაქარია და მისი ძმა, მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელებიც.

თამარმა არდებილის სულთნის წინააღმდეგ ირანის აზერბაიჯანში ფართომასშტაბიანი ლაშქრობის მოწყობა გადაწყვიტა, თუმცა მხარგრძელებმა განსხვავებული გეგმა შესთავაზეს. მათ მეფეს საკუთრივ ქალაქ არდებილზე თავდასხმის უფლება გამოსთხოვეს, ანისში დაბრუნდნენ, ნარჩევი მეომრებისაგან მცირერიცხოვანი რაზმი მოამზადეს, მაჰმადიანთა მთავარი დღესასწაულის – რამადანის დადგომას დაელოდნენ და მისი მოახლოებისთანავე არდებილისაკენ დაიძრნენ. ქართველებმა არდებილამდე უჩუმრად იარეს და ქალაქის მისადგომებთან ჩასაფრდნენ.

დღესასწაულის გამთენიისას, როცა მუეძინი მინარეთზე გადმოდგა და მაჰმადიანებს ლოცვისაკენ მოუწოდა, მხარგრძელებმა ყველა მხრიდან მიიტანეს იერიში არდებილზე და სულ მოკლე ხანში აიღეს ქალაქი. არდებილში შესულმა მხარგრძელებმა სულთანიცა და მისი ოჯახის წევრებიც სიკვდილით დასაჯეს.

ამის შემდეგ თორმეტი ათასი რჩეული მოქალაქე მერეთში შეიყვანეს და ანისის ეკლესიებში დახოცილი თორმეტი ათასი ქრისტიანის მსგავსად, ცხვარივით დაკლეს.

ქართველებმა არდებილი სასტიკად დაარბიეს, მოქალაქეთა ერთი ნაწილი დახოცეს, მეორე ნაწილი ტყვედ აიყვანეს, უზარმაზარი ალაფი აიღეს და უკან, საქართველოში დაბრუნდნენ.

მხარგრძელები თამარს კოლაში ეახლნენ და იქ ამცნეს გამარჯვების ამბავი.

არდებილის აღებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, 1210 წელს მხარგრძელებმა – ამირსპასალარმა ზაქარიამ, მსახურთუხუცესმა ივანემ და ზაქარია გაგელმა თამარს ახალი დიდი სამხედრო ექსპედიციის გეგმა შესთავაზეს. მათი გეგმით, ქართველებს ძლევამოსილი ლაშქრობა უნდა მოეწყოთ ირანში და შორეული მხარეები მოეთარეებინათ.

ექსპედიციისათვის სამხედრო შენაერთები მთელი საქართველოდან შეიკრიბნენ. ლაშქარმა თბილისს მოიყარა თავი. თამარმა ქართველებს სახელოვანი გორგასლიან-დავითიანი დროშა გადასცა და დალოცა. ლაშქარს სათავეში ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი ჩაუდგა.

ქართული მხედრობა თავდაპირველად სამხრეთისაკენ დაიძრა, გაიარა ნახჭევანი, მიაღწა ქალაქ ჯუღას*, გადალახა არაქსი და ქალაქ მარანდს* მიუახლოვდა.

როცა მარანდის მოსახლეობამ მათკენ მომავალი ქართველები შეამჩნია, ქალაქი მიატოვა და მთებში გაიხიზნა.

ქართული მხედრობა მარანდში შევიდა, თუმცა ქალაქი მთლიანად დაცლილი დახვდა. ამ დროს ზაქარია მხარგრძელმა მთებში გახიზნული მარანდელები შეამჩნია, ჩათვალა, რომ იქ ირანის აზერბაიჯანის ლაშქარი იყო დაბანაკებული და სამხედრო შენაერთები მაღლობისაკენ დაძრა. თუმცა, მანამდე ხუთასკაციანი ცხენოსანი რაზმი გამოყო, სათავეში თაყაიადინ თმოგველი ჩაუყენა, ფერდობზე სწრაფად ასვლა, პლატოზე გამაგრება და ძირითადი ლაშქრის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა დაავალა.

თაყაიადინ თმოგველმა ამირსპასალარის დავალება შეასრულა, პლატოზე ავიდა და თავდაცვითი პოზიცია დაიკავა.

როცა მარანდელებმა მალლობზე ამოსული მცირერიცხოვანი ქართული მხედრობა შენიშნეს, გადაწყვიტეს, დაუყოვნებლივ დასხმოდნენ თავს და ძირითადი ლაშქრის მოსვლამდე გაენადგურებინათ ისინი. მათ სახელდახელოდ შეადგინეს ცხენოსანთა სამხედრო შენაერთი და სწრაფად მიიტანეს იერიში ქართველებზე. თაყაიადინ თმოგველი მოწინააღმდეგის გამოჩენას მომზადებული დახვდა და საკუთარ რაზმს კონრშეტევაზე გადასვლა უბრძანა.

ქართული კავალერიის იერიში იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ მარანდელებმა მომენტალურად მიატოვეს ბრძოლის ველი და უწვესრივოდ გაიქცნენ. ქართველები ფეხდაფეხ მიჰყვნენ მოწინააღმდეგეს და დიდ მანძილზე სდიეს მათ.

იმ დროს, როცა მარანდელთა ღვეწაში გართული თაყაიადინ თმოგველის რაზმი თვალს მიეფარა, პლატოზე ქართველთა ძირითადი სამხედრო შენაერთებიც ავიდნენ.

ზაქარია მხარგრძელს შეტაკების ადგილას მხოლოდ დახოცილი მეომრებიღა დახვდა.

როცა ქართველებმა დახოცილები კარგად დაათვალიერეს, აღმოჩნდა, რომ ბრძოლის ველზე ხუთასი მარანდელი ცხენოსანი ეგდო და ხუთასივე მათგანი ქართველი მხედრის შუბით იყო მოკლული.

მცირე ხნის შემდეგ პლატოზე მარანდელთა ღვეწიდან დაბრუნებული ქართველი ცხენოსნებიც გამოჩნდნენ.

სამხედრო ხელმძღვანელობამ თაყაიადინ თმოგველს ბრწყინვალე გამარჯვება მიულოცა, თუმცა, მათთან შეუთანხმებელი მოქმედების გამო შენიშვნაც მისცა მას.

მარანდიდან ზაქარია მხარგრძელმა სამხრეთ-აღმოსავლეთით, ირანის აზერბაიჯანის უდიდესი ქალაქის თავრიზისაკენ* აიღო გეზი. ქართველების გამოჩენამ თავრიზის მოსახლეობას თავზარი დასცა. მათ ქალაქის დიდებულებისაგან სასწრაფოდ შეადგინეს ელჩობა და ზაქარია მხარგრძელთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს. თავრიზის მოსახლეობა სრულ მორჩილებას უცხადებდა ქართველებს და იმის სანაცვლოდ, რომ ქალაქი არ აეოხრებინათ, აურაცხელ სიმდიდრეს სთავაზობდა მათ. ზაქარია მხარგრძელმა შემოთავაზება მიიღო, თავრიზში ქართული გარნიზონი ჩააყენა და ქალაქს უომრად გაეცალა.

ირანის აზერბაიჯანის დალაშქრის შემდეგ ქართველებმა აღმოსავლეთისაკენ გააგრძელეს გზა და ქალაქ მიანეს* მიაღწენ. მიანეს მელიქმა* თვარიზელთა მსგავსი წინადადებით მიმართა ქართველებს. ზაქარია მხარგრძელმა ამჯერადაც მიიღო ირანელთა შემოთავაზება, მიანეში ქართული გარნიზონი ჩააყენა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გააგრძელა გზა.

ირანის აზერბაიჯანიდან ქართველები გილანში* შეიჭრნენ და ამ ირანული პროვინციის ცენტრალურ ქალაქს ზანჯანს* მიაღწენ. ადგილობრივმა მოსახლეობამ ზაქარია მხარგრძელისათვის მორჩილების გამოცხადება არ ისურვა და ქალაქში გამაგრდა. ქართულმა მხედრობამ ზანჯანს ალყა შემოარტყა

და ქალაქზე ყველა მხრიდან დაიწყო იერიში. ქართველთა თითოეულ სამხედრო დანაყოფს, რომლებიც, თავისი მხრივ, საქართველოს ერთი რომელიმე პროვინციიდან გამოსული მემომრებით იყო დაკომპლექტებული, შეტევისათვის ზენჯანის გალავნის ერთი კონკრეტული მონაკვეთი გამოეყო. ქალაქის ალყა დიდხანს გაგრძელდა.

ბოლოს მესხთა საბრძოლო დანაყოფმა მოახერხა ზანჯანის გალავნის ერთ-ერთი მონაკვეთის შენგრევა. მესხები ქალაქში შეიჭრნენ. მათ კვალდაკვალ გალავანი სხვა სამხედრო შენაერთებმაც შეანგრიეს და მცირე ხანში ზანჯანი ქართველთა ხელში აღმოჩნდა. ზაქარია მხარგრძელმა წინააღმდეგობის გაწევის გამო სასტიკად ააოხრა ქალაქი და ლაშქრობა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ განაგრძო.

აქ ზაქარია მხარგრძელმა ჯერ ქალაქ ყაზვინის* მიდამოები დაარბია, შემდეგ კი, აღმოსავლეთისაკენ წავიდა და ხორასნის ტერიტორიაზე ღრმად შეიჭრა.

ქართველების მიერ ირანის ჩრდილოეთ პროვინციებში მოწყობილი ძლევამოსილი ლაშქრობა კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ გორგანის* მიდამოებში დასრულდა.

ზაქარია მხარგრძელმა სამხედრო ექსპედიციის კიდევ უფრო აღმოსავლეთით გაგრძელება საჭიროდ აღარ ჩათვალა, ქალაქ გორგანის მიმდებარე ტერიტორია მოითარემა, აურაცხელი ალაფი წამოიღო და უკან გამობრუნდა.

იმ დროს, როცა ქართველები ხორასანში ლაშქრობდნენ, ქალაქ მიანეში ხმა გაგრცელდა, რომ გილანელებმა და ირანის სხვა პროვინციებიდან მოსულმა სამხედრო შენაერთებმა ზაქარია მხარგრძელის ლაშქარს გზა შეუკრეს და მთლიანად გაანადგურეს. მიანეს მელიქმა ახალი ამბავი სინარულით მიიღო, ქალაქში დატოვებულ ქართველთა რაზმს თავს დაესხა, დახოცა ისინი, მოკლულ მეომრებს ტყავი გაადრო და ძელზე ჩამოკიდა. სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა ერთადერთი ქართველი მეომარი, რომელიც სადღაც იქვე მიიმალა.

ამასობაში ხორასნიდან დაბრუნებული ზაქარია მხარგრძელი მიანეს მიადგა და მის მიერ დატოვებული ქართველი მოლაშქრეები მოიკითხა. თავზარდაცემულმა მიანეს მელიქმა ზაქარია მხარგრძელის მოტყუება გადაწყვიტა, ქართველთა რაზმმა მიანე თვითნებურად მიატოვა და თავრიზს წავიდაო. ამ დროს სამალავიდან გამოვიდა სიკვდილს გადარჩენილი ქართველი მოლაშქრე და ზაქარია მხარგრძელს სიმართლე ამცნო.

განრისხებულმა ქართველებმა მიანეს მელიქიცა და ყველა მისი მახლობელ-ნათესავიც სიკვდილით დასაჯეს, დახოცილი ქართველი მეომრების მსგავსად, ტყავი გაადრეს და მთელი ქალაქის დასანახად, მინარეთზე გამოჰკიდეს. ამის შემდეგ ქართულმა მხედრობამ სასტიკად ააოხრა მთელი ქალაქი, მრავალი მიანელი ტყვედ აიყვანა და თავრიზისაკენ წავიდა. შეშინებული თავრიზის მოსახლეობა ძვირფასი საჩუქრებით მიეგება ქართველებს.

აქედან, ზაქარია მხარგრძელი ჩრდილო-დასავლეთისაკენ დაიძრა, არაქსი გადმოლახა, საქართველოს საზღვრებში შემოვიდა, თბილისს ჩავიდა და ისნის სამეფო სასახლეში გამარჯვებული ეახლა თამარს.

ხანგრძლივი სამხედრო ექსპედიციიდან დაბრუნებულმა ქართულმა მხედრობამ არნახული რაოდენობის ალაფი მოიტანა ქვეყანაში.

ირანში მოწყობილი ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, მცირე ხანში გარდაიცვალა ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი.

თამარმა გადაწყვიტა, ამირსპასალარის თანამდებობა ზაქარიას ძმის, მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელისათვის მიეცა.

ივანე მხარგრძელმა მადლიერებით მიიღო მეფის წყალობა, თუმცა ითხოვა, რომ საგანგებოდ მისთვის შემოეღო ქართული სახელმწიფოსათვის მანამდე უცნობი თანამდებობა – ათაბაგობა და მაჰმდიანური წესისამებრ, სამეფო ტახტის მემკვიდრე გასაზრდელად მისთვისვე ჩაებარებინათ. თამარმა ივანე მხარგრძელს თხოვნა აუსრულა და ერთდროულად ათაბაგისა და ამირსპასალარის სახელოები უბოძა.

ივანე მხარგრძელის ძველი თანამდებობა – მსახურთუხუცესობა თამარმა ზაქარია გაგელის ვაჟს, ვარამს უბოძა.

დაახლოებით ამავე ხანებში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი კუთხის – ფხოვის მოსახლეობა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ დიდოელებს დაუკავშირდა და თამარის წინააღმდეგ ამბოხება დაიწყო. მეფემ ამბოხების ჩასაქარობად სამხედრო შენაერთები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დანარჩენი კუთხეებიდან გამოიყვანა: დვალეთიდან, ცხრაზმიდან, ხევიდან, ხადადან, ცხავატიდან, ჭართლიდან და ერწო-თიანეთიდან.

ლაშქარს სათავეში ათაბაგ-ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი ჩაუდგა.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაგზავნილმა საბრძოლო დანაყოფებმა არაგვის ხეობა აღმა აიარეს, ფხოვს დასავლეთიდან უომრად აუარეს გვერდი, ხადაში შევიდნენ და მალე კავკასიონის წყალგამყოფი ქედის თხემზე აღმოჩნდნენ.

აქედან, ივანე მხარგრძელმა ლაშქარი აღმოსავლეთისაკენ შემოაბრუნა, ქედ-ქედ იარა და წყალგამყოფზე ისეთი საბრძოლო პოზიციები დაიკავა, რომ მისი სამხედრო შენაერთები, ერთ მხარეს – ფხოვსა და დიდოეთს, ხოლო მეორე მხარეს – დურძუკეთს ზემოდან ქვემოთ გადასცქეროდნენ. ასეთი მოხერხებული მანევრის შემდეგ, დურძუკთა მმართველები ივანე მხარგრძელს ძღვენით ეახლნენ და ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება აღუთქვეს.

ზურგის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგ ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაგზავნილმა სამხედრო შენაერთებმა ფხოველებსა და დიდოელებზე ზემოდან მიიტანეს იერიში. საბრძოლო მოქმედებები სამი თვის განმავლობაში, ივნისიდან აგვისტომდე გაგრძელდა და ივანე მხარგრძელის სრული გამარჯვებით დასრულდა. ფხოველებმა და დიდოელებმა მოწინააღმდეგეს სრული მორჩილება გამოუცხადეს და პირობის დაურღვევლობის ნიშნად, მძევლები მისცეს.

ივანე მხარგრძელი თბილისს მივიდა და გამარჯვებული წარუდგა თამარს.

ამ ამბებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, 1210 წელს ტაბახმელას მდგომი თამარი, ქართველ გვირგვინოსანთა შორის უპირველესი ხელმწიფე, ორმოცდაათიოდე წლის ასაკში გარდაიცვალა.

სახელოვანი მეფე-ქალი, ვისი ზეობის პერიოდში საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანას“ წარმოადგენს, დასავლეთ საქართველოში გადააბრძანეს და გელათის მონასტერში, ბაგრატიონთა საგვარეულო საძვალეში უდიდესი პატივით დაკრძალეს.

სახელმწიფოებრივი ძლიერების მწვერვალზე მდგომი საქართველოს სამეფო ტახტზე თამარის ვაჟი – გიორგი IV ლაშა ავიდა და ქართული მხედრობის ისტორიაშიც ახალი, მრავალი სიძნელითა და ხიფათით აღსავსე ხანა დაიწყო.

განმარტებითი ლექსიკონი *

აგარათა ციხე (იგივე კოჯრის ციხე, აზეულას ციხე) – ისტორიული ციხე-სიმაგრე ქვემო ქართლში, გარდაბნის რაიონის დაბა კოჯრის განაპირას. მდებარეობდა თბილისიდან ისტორიულ ქალაქ სამშვილდისაკენ მიმავალ გზაზე. იყო საქართველოს მეფეთა საზაფხულო სადგომი.

ათაბაგი – ქვეყნის მმართველი ან მაღალი სახელმწიფო მოხელე შუა საუკუნეების მახლობელ აღმოსავლეთში. თურქულ-მაჰმადიანურ სივრცეში თავდაპირველად ეწოდებოდა სულთნის მემკვიდრის აღმზრდელს, ხოლო მოგვიანებით – ამა თუ იმ დამოუკიდებელი ან ნახევრადდამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის მმართველს. საქართველოში ათაბაგის წოდებას ატარებდა ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო მოხელე, მინისტრი ანუ ვეზირი. მისი ძირითადი მოვალეობა იყო ტახტის მემკვიდრის აღზრდა და საუფლისწულო მამულების მართვა. XIII საუკუნის დასაწყისში შედიოდა ვეზირთა პირველ სამეულში მანდატურთუხუცესსა და ამირსპასალართან ერთად. მოგვიანებით ათაბაგებმა თანდათანობით შეავიწროვეს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელები და თავად იქცნენ ქვეყნის „ვაზირთუხუცესებად“ ანუ პირველ მინისტრებად.

აირარატი – ისტორიული პროვინცია სომხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ერევნის სამხრეთ-დასავლეთით. მისი ცენტრი იყო შუა საუკუნეების სომხეთის ერთ-ერთი დედაქალაქი დვინი.

ალბანეთი – ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. მოიცავდა ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიას და დაღესტნის სამხრეთ ნაწილს. შედიოდა შემდეგი პროვინციები: ჰერეთი, კამბეჩიანი, შაქი, ყაბალა, შირვანი, დარუბანდი, გარდმანი, რანი, ხაჩენი, სივნიეთი და სხვა. V საუკუნეში ალბანეთის დასავლეთი პროვინციები – ჰერეთი (ამჟამინდელი კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი და საინგილო) და კამბეჩიანი (მერმინდელი ქიზიცი) ქართლის სამეფომ დაიპყრო და ადგილობრივი მოსახლეობის გაქართველებას შეუდგა. XI საუკუნეში ალბანეთში მასიურად ჩამოსახლდნენ მრავალრიცხოვანი თურქულენოვანი ტომები, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის თანდათანობითი გაქრობა მოჰყვა. ალბანელების ერთმა ნაწილმა თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა, მეორე ნაწილი კი ქართველებს, სომხებსა და დაღესტნელებს შეერწყა.

ამბერდის ციხე – ისტორიული ციხე-სიმაგრე სომხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ერევნის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მდებარეობდა ბიჯნისის ციხიდან ქალაქ ანისისაკენ მიმავალ გზაზე. იყო ამბერდის პროვინციის ცენტრი.

ამილახორი – სამხედრო უწყების მაღალი მოხელე შუა საუკუნეების საქართველოში. იყო ამირსპასალარის თანაშემწე. ესწრებოდა და სათათბირო ხმით სარგებლობდა სავეზიროს სხდომაზე. მას ექვემდებარებოდნენ სხვა სამხედრო მოხელეები: მეაბჯრეთუხუცესი და მეჯინბეთუხუცესი. დარბაზობის დროს პატივით გათანაბრებული იყო მეჭურჭლეთუხუცესთან და მსახურთუხუცესთან.

ამირა – ქალაქის მმართველი შუა საუკუნეების საქართველოში. იყო საქართველოს მეფის მოხელე. მისი უფლება-მოვალეობები დაახლოებით ემთხვევა მერმინდელი ქალაქის მოურავისა და ქალაქის თავის უფლება-მოვალეობებს. ამირები ისხდნენ საქართველოს დიდ ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ჟინვანში, ღმანისში და სხვა.

ამირსპასალარი – სამხედრო მინისტრი ანუ ვეზირი შუა საუკუნეების საქართველოში. განაგებდა ქვეყნის სამხედრო ძალებს: რეგულარულ სამხედრო შენაერთებს, მეფის პირად გვარდიას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან გამოყვანილ ლაშქარსა და დაქირავებულ უცხოელ მეომართა რაზმებს. ომის დროს იყო ჯარის უშუალო ხელმძღვანელი მეფის შემდეგ. ებარა სახელმწიფო დროშა და წინ მიუძღვოდა ლაშქარს. შედიოდა ვეზირთა პირველ სამეულში ათაბაგსა და მანდატურთუხუცესთან ერთად.

ქალაქი ანისი – ძველი სომხური ქალაქი ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ყარსის აღმოსავლეთით. მდებარეობდა აღმოსავლეთ ანატოლიიდან კასპიისპირეთისაკენ და საქართველოდან სირია-ერაყისაკენ მიმავალი გზების შესაყარზე. იყო შუა საუკუნეების სომხეთის ერთ-ერთი დედაქალაქი და შირაკის პროვინციის ცენტრი.

ქალაქი არდებილი – ისტორიული ქალაქი ირანის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში, კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსთან, ქალაქ თავრიზის აღმოსავლეთით. მდებარეობდა ჩრდილოეთ ირანიდან შირვანისაკენ მიმავალ გზაზე. იყო ირანის აზერბაიჯანის ერთ-ერთი ცენტრი.

აფხაზეთი – ისტორიული პროვინცია დასავლეთ საქართველოში. VIII-XV საუკუნეებში მოიცავდა ტერიტორიას თანამედროვე ახალი ათონიდან დასავლეთით, ვიდრე ქალაქ ნიკოფსიამდე. ამავე VIII-XV საუკუნეებში აქ მოქმედებდა საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული – აფხაზეთის საერისთავო.

ქალაქი ბაილაყანი – ძველი ალბანური ქალაქი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მდინარეების – მტკვრისა და არაქსის შესართავიდან დასავლეთით. მდებარეობდა ირანიდან საქართველოსაკენ მომავალ დიდ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალზე. იყო რანის პროვინციის აღმოსავლეთი რაიონების ცენტრი.

ქალაქი ბარდავი – ძველი ალბანური ქალაქი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ქალაქ განჯის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მდებარეობდა ირანიდან საქართველოსაკენ და სომხეთიდან შირვანისაკენ მიმავალი დიდი სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალების შესაყარზე. იყო რანის პროვინციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი.

ბასიანი – ძველი სომხური პროვინცია ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ ერზურუმის აღმოსავლეთით. მისი ცენტრი იყო ციხე-ქალაქი ბასიანი.

ბაღდადის ხალიფა – მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიან სუნიტთა უმაღლესი სასულიერო მეთაური X-XIII საუკუნეებში. ამ წოდებას ატარებდნენ მხოლოდ აბასიანთა დინასტიის წარმომადგენლები. მათი რეზიდენცია იყო

ქალაქი ბაღდადი. ისინი, როგორც მაჰამდიანთა სულიერი მეთაურები, აქტიურად მონაწილეობდნენ ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო-პოლიტიკურ ღონისძიებებში.

ბიჯნისის ციხე – ისტორიული ციხე-სიმაგრე სომხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ერევნის ჩრდილოეთით. მდებარეობდა ქალაქ ღვინიდან საქართველოსაკენ მომავალ გზაზე. იყო ბიჯნისის პროვინციის ცენტრი.

გაგი – ძველი ქართული პროვინცია ამჟამინდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდინარე დებედასა და ქალაქ შამქორს შორის. მისი ცენტრი იყო ციხე-ქალაქი გაგი.

ქალაქი განძა (იგივე განჯა) – ძველი ალბანური ქალაქი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. მდებარეობდა ირანიდან საქართველოსაკენ მომავალ დიდ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალზე. იყო რანის პროვინციის ცენტრი.

გეგუთის სასახლე – ერთ-ერთი სამეფო რეზიდენცია შუა საუკუნეების საქართველოში. მდებარეობს ქვემო იმერეთში, ქალაქ ქუთაისის სამხრეთით, 7 კილომეტრში, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე.

გელაქუნი – ისტორიული პროვინცია სომხეთის რესპუბლიკაში, სევანის (გელაქუნის) ტბის მიდამოებში. მისი ცენტრი იყო გელაქუნის ციხე.

გილანი – ისტორიული პროვინცია ირანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით. მისი ცენტრი იყო ქალაქი ზანჯანი.

გიშის ციხე – ძველი ქართული ციხე-სიმაგრე ჰერეთში, ამჟამინდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ქალაქ შაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მდებარეობდა შირვანიდან თბილისისაკენ მომავალ გზაზე. XII-XIII საუკუნეებში წარმოადგენდა ჰერეთის ერისთავების – გრიგოლისძეთა რეზიდენციას.

ქალაქი გორგანი – ისტორიული ქალაქი ირანის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მდებარეობდა შუა აზიიდან კავკასიისაკენ მომავალ მსხვილ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალზე. იყო მაზანდარანის პროვინციის ერთ-ერთი ცენტრი.

ქალაქი ღვინი – ისტორიული ქალაქი სომხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ერევნის სამხრეთით. მდებარეობდა აღმოსავლეთ ანატოლიიდან კასპიისპირეთისაკენ და საქართველოდან სირია-ერაყისაკენ მიმავალი გზების შესაყარზე. იყო შუა საუკუნეების სომხეთის ერთ-ერთი დედაქალაქი და აირარატის პროვინციის ცენტრი.

ერისთავი – სახელმწიფოს ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულის – საერისთავოს გამგებელი შუა საუკუნეების საქართველოში. იყო უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალი საერისთავოში, საერისთავოს ჯარის სარდალი. მას ჰქონდა სასამართლო ხელისუფლება, კრეფდა სახელმწიფო გამოსაღებებს და საერისთავო გადასახადს. მისი მოხელეები განაგებდნენ საერისთავოში შემაჯავალ სხვადასხვა კუთხეებს. ჰქონდა საკუთარი რეზიდენცია,

საგვარეულო მონასტერი და ერისთავის ინსიგნიები: დროშა, ბეჭედი, საყურე და განსაკუთრებული შესამოსელი.

ვამლოვანის ციხე – ძველი ქართული ციხე-სიმაგრე ტაოში, ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ქალაქ ოლთუს (ოლთისის) სამხრეთით, მდინარე ოლთისისწყლის მარცხენა ნაპირზე. მდებარეობდა ბასიანიდან ოლთისისაკენ მომავალ გზაზე.

ქალაქი ზანჯანი – ისტორიული ქალაქი ირანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქალაქებს – მიანესა და ყაზვინს შორის. მდებარეობდა ირანიდან კავკასიისაკენ მომავალ მსხვილ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალზე. იყო გილანის პროვინციის ერთ-ერთი ცენტრი.

ქალაქი თავრიზი – ისტორიული ქალაქი ირანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქალაქებს – მარანდსა და მიანეს შორის. მდებარეობდა ირანიდან კავკასიისაკენ მომავალ მსხვილ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალზე. იყო ირანის აზერბაიჯანის უმნიშვნელოვანესი საქალაქო ცენტრი.

თეთრიწყალი (იგივე ალსუ) – მდინარე თანამედროვე აზერბაიჯანის ცენტრალურ ნაწილში, ქალაქ შემახას დასავლეთით, მტკვრის მარცხენა შენაკადი. შუა საუკუნეებში ერთმანეთისაგან მიჯნავდა შაქისა და შირვანის პროვინციებს. XII-XIII საუკუნეებში თეთრიწყალზე გადიოდა საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთი საზღვარი.

ციხე-ქალაქი თმოგვი – ისტორიული ციხე-ქალაქი ჯავახეთში, ასპინძის რაიონის სოფელ თმოგვთან, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. მდებარეობდა წინა აზიიდან საქართველოსაკენ მომავალ დიდ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალზე.

ირანის აზერბაიჯანი – მსხვილი პოლიტიკური ერთეული ირანის აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ ირანისა და სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე XII-XIII საუკუნეებში. მისი ცენტრი იყო ქალაქი ნახჩევანი. მართავდნენ ათაბაგები ილდეღიზიანთა დინასტიიდან. საქართველოს მიმართ ატარებდა აგრესიულ სახელმწიფო პოლიტიკას.

ისნის სასახლე – ერთ-ერთი სამეფო რეზიდენცია შუა საუკუნეების საქართველოში. მდებარეობდა თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა კლდოვან ნაპირზე, ამჟამინდელი მეტეხის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის მიდამოებში.

კაენი – ისტორიული პროვინცია სომხეთის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე ალსტევის ზემო წელზე. მისი ცენტრი იყო კაენის ციხე.

კაიწონი – ისტორიული პროვინცია სომხეთის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე დებედას მარჯვენა ნაპირზე. მისი ცენტრი იყო კაიწონის ციხე.

კარნიფორი – ძველი სომხური პროვინცია ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ყარსის სამხრეთ-დასავლეთით.

კარნუქალაქი (იგივე არზურუმი) **საამირო** – თურქ-სელჩუკთა ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანება XII-XIII საუკუნეებში, თურქეთის რესპუბლიკის

ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარეების – ევფრატისა და არაქსის სათავეებთან. მისი ცენტრი იყო კარნუქალაქი (არზურუმი).

ლორე – ძველი ქართული პროვინცია ამჟამინდელი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მის ჩრდილოეთ ნაწილში, მდინარე დებედას ზემო წელზე. მისი ცენტრი იყო ციხე-ქალაქი ლორე.

მანდატურთუხუცესი – საპოლიციო უწყების ხელმძღვანელი, მინისტრი ანუ ვეზირი შუა საუკუნეების საქართველოში. განაგებდა საპოლიციო-აღმინისტრაციული მოხელეების – მანდატურებისაგან დაკომპლექტებულ უწყებას. ევალეობდა წესრიგის დაცვა სამეფო კარზე. მეფის მგზავრობის დროს ასრულებდა ცერემონიამისტერის როლს. მისი სამონხელო ნიშანი იყო ოქროს ჯოხი – ე. წ. „სამანდატურო არგანი“. შედიოდა ვეზირთა პირველ სამეულში ათაბაგსა და ამირსპასალართან ერთად.

ქალაქი მარანდი – ისტორიული ქალაქი ირანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქალაქებს – ჯულასა და თავრიზს შორის. მდებარეობდა ირანიდან კავკასიისაკენ მომავალ მსხვილ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალზე. იყო ირანის აზერბაიჯანის ერთ-ერთი ცენტრი.

მელიქი – ნახევრადდამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის მმართველი შუა საუკუნეების მახლობელ აღმოსავლეთში.

მეჭურჭლეთუხუცესი – სახელმწიფო ხაზინის მთავარი გამგე, მინისტრი ანუ ვეზირი შუა საუკუნეების საქართველოში. მას ექვემდებარებოდა ხაზინის მოხელეების – მეჭურჭლეებისაგან დაკომპლექტებული უწყება. განაგებდა საჭურჭლეს ანუ ხაზინას, სადაც ინახებოდა სახელმწიფოს კუთვნილი ფული და ყოველდღიურად სახარჯო ქონება. ჰყავდა ნაცვალი ანუ მოადგილე. მეჭურჭლეთუხუცესს ემორჩილებოდნენ ქალაქები, ქალაქის ამირები და ვაჭრები. შედიოდა „ერთა ვაზირთა“ ჯგუფში მსახურთუხუცესთან ერთად.

ქალაქი მიანე – ისტორიული ქალაქი ირანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქალაქებს – თავრიზსა და ზანჯანს შორის. მდებარეობდა ირანიდან კავკასიისაკენ მომავალ მსხვილ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალზე. იყო ირანის აზერბაიჯანის ერთ-ერთი ცენტრი.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი – პირველი მინისტრი ანუ ვეზირი შუა საუკუნეების საქართველოში. იყო სასულიერო პირი და საერო თანამდებობის გარდა, ფლობდა მაღალი რანგის სასულიერო წოდებას – ჭყონდიდის, იშვიათად, ბედიის ან ალავერდის ეპისკოპოსობას. მის გარეშე არ წყდებოდა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი არც ერთი საკითხი, არც სამხედრო, არც საგარეო-პოლიტიკური და არც რაიმე სხვა ხასიათისა. იყო უპირველესი მრჩეველი და მზრდელი, „მამა მეფისა“. ხელმძღვანელობდა მართლმსაჯულების უმთავრეს ორგანოს – „სააჯო კარს“.

მსახურთუხუცესი – სამეფო კარის მაღალი თანამდებობის პირი, მინისტრი ანუ ვეზირი შუა საუკუნეების საქართველოში. განაგებდა სამეფო კარზე მოქმედ უწყებებს: სალაროს ანუ განძთსაცავს და საწოლს ანუ მეფის მოსასვენებელ განსაკუთრებულ დაწესებულებას. ევალეობდა „მეფის შეკაზმვა“. მას ექვემდებარებოდნენ „მეფის მსახურები“: მოლარეთუხუცესი, მესაწოლეთუხუცესი,

ფარემთუხუცესი, მეხილეთუხუცესი და სხვა. შედიოდა „ორთა ვაზირთა“ ჯგუფში მეჭურჭლეთუხუცესთან ერთად.

ნაჭარმაგევის სასახლე – ერთ-ერთი სამეფო რეზიდენცია შუა საუკუნეების საქართველოში. მდებარეობდა ქართლში, ახლანდელი გორის რაიონის ტერიტორიაზე, სოფელ კარალეთის ადგილას.

ნახიჩევანი – ძველი სომხური პროვინცია ამჟამინდელი აზერბაიჯანის ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მისი ცენტრი იყო ქალაქი ნახიჩევანი.

ნიალი – ვრცელი ველი ჯავახეთში, ასპინძის რაიონის სოფელ თმოგვის სამხრეთით, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

ნიკოფსია – ისტორიული ციხე-ქალაქი ამჟამინდელი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ქალაქ ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. XII საუკუნის II ნახევარში ნიკოფსიასთან გადიოდა საქართველოს სახელმწიფოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი.

ციხე-ქალაქი ოძრხე – ისტორიული ციხე-ქალაქი სამცხეში, ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმნის მახლობლად, მდინარე ოძრხისწყლის მარჯვენა ნაპირზე. მდებარეობდა სამხრეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოსაკენ მიმავალ დიდ სავაჭრო-საქარავენო მაგისტრალზე.

პალაკაციო – ძველი ქართული პროვინცია ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ცელის (იგივე ჩრდილის, ჩილდირის) ტბის მიდამოებში. აქ იდგა ცნობილი ციხე-სიმაგრეები: ქაჯისციხე, თეთრციხე და სხვა.

რანი – ძველი ალბანური პროვინცია ამჟამინდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდინარეებს – დებედასა და არაქსს შორის. მისი უმთავრესი ცენტრი იყო ქალაქი განძა.

რუმი – თურქ-სელჩუკთა მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება XI-XIV საუკუნეებში, თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებში. მისი ცენტრი იყო ქალაქი კონია. აქტიურად მონაწილეობდა ჯვაროსანთა წინააღმდეგ წარმოებულ ომებში.

სივნიეთი – ძველი ალბანური პროვინცია ამჟამინდელი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მდინარე არაქსის მარცხენა ნაპირზე, ახლანდელი აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღისა და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის.

ქალაქი სპარსი-ბაზარი – ისტორიული ქალაქი ამჟამინდელი აზერბაიჯანის ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ნახიჩევანის აღმოსავლეთით. მდებარეობდა მდინარე არაქსის მარცხენა ნაპირზე გამავალი და საქართველოსაკენ მომავალი გზების გასაყარზე. იყო ნახიჩევანის პროვინციის ერთ-ერთი ცენტრი.

ტაოსკარის ციხე – ძველი ქართული ციხე-სიმაგრე ტაოში, ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ქალაქ ოლთუს (ოლთისის) ჩრდილოეთით, მდინარე ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე. მდებარეობდა

კოლადან და ბანა-ოლთისის რაიონიდან თორთუმისწყლისა და ჭოროხის ხეობისაკენ მიმავალ გზაზე.

ქვემის ციხე – ისტორიული ციხე-სიმაგრე ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონის სოფელ ქვემის განაპირას, მდინარე მაშავერას მარცხენა ნაპირზე. მდებარეობდა ისტორიულ ქალაქ სამშვილდიდან ლორე-ტაშირისა და ზურტაკეტ-ჯავახეთისაკენ მიმავალი გზების გასაყარზე.

ყაბალა – ძველი ალბანური პროვინცია ამჟამინდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. მისი ცენტრი იყო ქალაქი ყაბალა, ალბანეთის ერთ-ერთი დედაქალაქი შუა საუკუნეებში.

ქალაქი ყაზვინი – ისტორიული ქალაქი ირანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქალაქებს – ზანჯანსა და თეირანს შორის. მდებარეობდა ირანიდან კავკასიისაკენ მომავალ მსხვილ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალზე. იყო შუა საუკუნეების ირანის ერთ-ერთი დედაქალაქი.

ყარყარი – ძველი ალბანური პროვინცია ამჟამინდელი აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში.

ციხე-ქალაქი შამქორი – ძველი ალბანური ციხე-ქალაქი ამჟამინდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ქალაქ განჯის ჩრდილო-დასავლეთით. მდებარეობდა ირანიდან საქართველოსაკენ მომავალ დიდ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალზე. იყო რანის პროვინციის დასავლეთი რაიონების ცენტრი.

შაქი – ძველი ალბანური პროვინცია ამჟამინდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. მისი ცენტრი იყო ქალაქი შაქი.

შირაკი – ძველი სომხური პროვინცია ამჟამინდელი თურქეთისა და სომხეთის რესპუბლიკების ტერიტორიაზე, ამ სახელმწიფოებს შორის საზღვრად დადებული მდინარე არფაჩაის ხეობაში. მისი ცენტრი იყო ქალაქი ანისი.

შირვანი – ძველი ალბანური პროვინცია ამჟამინდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. მისი ცენტრი იყო ქალაქი შემანა.

ჩუხჩარხი – სამხედრო უწყების მაღალი მოხელე შუა საუკუნეების საქართველოში. იყო მეფის პირადი დაცვის უფროსი. მუდმივად თან ახლდა გვირგვინოსანს მგზავრობისას და წინ უძღვოდა მას. ვალდებული იყო, დაეთვალეობინა ის ადგილები, სადაც მეფე უნდა მისულიყო და ეზრუნა მის უსაფრთხოებაზე. საისტორიო წყაროებში ხშირად იხსენიება ვეზირთა გვერდით.

ცხუმი – ისტორიული პროვინცია დასავლეთ საქართველოში. მისი ცენტრი იყო ქალაქი ცხუმი, ამჟამინდელი – სოხუმი. VIII-XIV საუკუნეებში მოიცავდა ტერიტორიას თანამედროვე ახალი ათონიდან აღმოსავლეთით, ვიდრე მდინარე კოდორამდე. ამავე VIII-XIV საუკუნეებში აქ მოქმედებდა აფხაზეთის საერისთავოს აღმოსავლეთით მდებარე სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული – ცხუმის საერისთავო.

ხარაჯა – დაპყრობილ ხალხებზე დაკისრებული გადასახადი, ხარკი.

ხაჩენი – ძველი ალბანური პროვინცია ამჟამინდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთიანი ყარაბაღის ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში. მისი ცენტრი იყო ხაჩენის ციხე.

ხლათი – თურქ-სელჩუკთა მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება XII-XIII საუკუნეებში, ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში, ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით. მისი ცენტრი იყო ქალაქი ხლათი. მართავდნენ სულთნები შაკ-არმენთა დინასტიიდან. იმყოფებოდა ვასალურ დამოკიდებულებაში ირანის აზერბაიჯანის ილდეღიზიანთა სახელმწიფოსთან. საქართველოს მიმართ ატარებდა აგრესიულ სახელმწიფო პოლიტიკას.

ქალაქი ჯულა – ისტორიული ქალაქი აზერბაიჯანის ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ქალაქ ნახიჩევანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე არაქსის მარცხენა ნაპირზე. მდებარეობდა არაქსის მარცხენა და მარჯვენა ნაპირის დამაკავშირებელ მსხვილ-სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალზე. იყო ნახიჩევანის პროვინციის ერთ-ერთი ცენტრი.

გამოყენებული ლიტერატურა წყაროები:

- ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს., თბ., 1983.
- შ. ბადრიძე, საშინაო პოლიტიკური ვითარება თამარის მეფობაში, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
- ბასილი ეზოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
- მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.
- მ. ბერძენიშვილი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს, კრებ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
- ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ, თბ., 2002.
- თამარ მეფის დროინდელი მატთანე („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო მ. ქადაგიძემ, თბ., 2001.
- ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
- შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979.
- რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.
- მიქაელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმნით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალ. გამყრელიძემ, კრებ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ.: 33, თბ., 1960.
- გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.
- ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, კრებ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
- ჯ. სტეფანაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, თბ., 1985.
- ქართული ისტორიული საბუთები, ტ. I, XI-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
- ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.
- გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995.